უნდა დაამთავრონ თებერვლის 1-თვის სარწყავი სისტემების რემონტისა და გაწმენდის გეგმების შედგენა და განიხილონ ეს გეგმები ფართო საწარმოო თათბირებზე და კოლმეურნეთა კრებულებზე; თებერვლის 15-დან მარტის 15-მდე ჩატარებულ იქნეს სარწყავი ქსელის გაწმენდის თვიური და ამავე ვადისთვის დამთავრდეს ქსელისა და ნაგებობათა რემონტი.

მარტის 20-თვის დამთავრებულ იქნეს წყალსაქანთა და ქალრიზთა რემონტი და სრული განმზადება. აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და პარტიულმა ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა მიიღონ თავიანთი განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ მტკვრის სანაპირო წყალსაქანთა რემონტი და განმზადება.

2. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა, რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან, ა/კ. მებაამეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტთან და წყალთა მეურნეობის საკვლევო ინსტიტუტის ა/კ.

განყოფილებასთან ერთად, უნდა გაზუსტოს არა უგვიანეს თებერვლის 1-სა ბამბის მორწყვის ვადები ცალკეული რაიონებისათვის, მიაწვდინოს ეს ვადები რაიონებამდე, კოლექტიურ მეურნეობებამდე და ინდივიდუალურ მეურნეობებამდე და დაამთავროს მარტის 1-დღე წყალსარგებლობისა და მორწყვის რაიონობითი გეგმების შედგენა; უზრუნველჰყოს წვრილი და უწვრილესი სარწყავი ქსელის გადაკეთებისათვის საჭირო სამუშაოების თავის დროზე და თვისებრივ კარგად შესრულება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი ავალდებუნ რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის სამმართველოებს, — ზამბისა და იონჯის ნათესების პირველ რიგში და სავალდებულოდ წყლით მთლად დაკმაყოფილებასთან ერთად, — უზრუნველჰყონ აგრეთვე სხვა კულტურების მორწყვაც.

3. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა, რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა აზერბაიჯანის მეზამბეობის ტრაქტორცენტრმა და სომხეთისა და საქართველოს წყალთა მეურნეობის სამართველოებმა უნდა ჩაატარონ მარტის 15-ს კურსები ქვედა წყალსამეურნეო მომუშავეთა მომზადება-გარდამზადებისათვის და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მრწყველთა, ბრიგადირთა და წყალმოსარგებლების გამგეთა ქვედა ძირითადი რგოლულის შერჩევას და მომზადებას.

### **მეთესლეობისა და სათესლე მასალების განმზადების ხაზით.**

1. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა, რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან ერთად, თებერვლის 1-დღე უნდა განიხილოს და დამტკიცოს 1934 წელს ბამბის თესლის განაწილების გეგმა რაიონებისა, შემსყიდველი პუნქტებისა და საბჭოთა მეურნეობების მიხედვით, ბამბის დარაიონებისათვის მიღებული გეგმის შესაბამისად.

2. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა, რესპუბლიკების სახალხო კომისარიატებთან და ტრაქტორცენტრებთან ერთად, უნდა განსაზღვროს, არა უგვიანეს მარტის 1-სა, საბამბე მეთესლეობის კოლექტიურ მეურნეობათა ქსელი 1934 წლისთვის, შეიმუშაოს ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს კოლექტიურ მეურნეობებში მეთესლეობის განვითარებას, და დააკომპლექტოს სათანადო სამანქანო-სატრაქტორო სადგურები მეთესლეობის დარგის აგრონომებით.

3. აღნიშნავენ-რა ყოვლად შეუწყნარებელ ფაქტებს ბამბის ქარხნების მუშაობაში ბამბის თესლის გაწმენდისა და შენახვის მხრით, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი მოითხოვენ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოთაგან და პარტიულ ცენტრალურ კომიტეტთაგან, დაძმადებათა კომიტეტის რწმუნებულისაგან ა/კსფსრ-ში და აკსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი საგან—იხმარონ უმტკიცესი და გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა ერთმანეთში შერეულ არ იქნეს სხვადასხვა ბოტანიკური ჯიშების, როგორც ამერიკული, ის ეგვიპტიური ბამბის გაწმენდილი თესლი და უზრუნველყოფილი იქნეს ამ თესლი

წესიერად შენახვა. სათესლე ნედლეულის გაწმენდა დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს იანვრის 25-სა. სათესი სათესლე ფონდის თვისებრივი შემოწმება და შეფასება დამთავრებულ იქნეს თებერვლის 5-თვის, ხოლო მეორე ლინტერება — თებერვლის 10-თვის.

უზრუნველყოფილ იქნეს არა უგვიანეს მარტის 5-სა თესლის დამზადებულ პუნქტებზე გადაგზავნა ბამბის მთესველებისათვის დასარიგებლად.

### ეგვიპტური ბამბის ხაზით.

1. აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და პარტიულმა ცენტრალურმა კომიტეტმა:

ა) დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ტრაქტორ-ცენტრს — გააზუსტონ ერთი დეკადის ვადაზე ეგვიპტური ჯიშების დარაიონების გეგმა 1934 წლისთვის მიღებული სათესი ფართობების საფუძველზე;

ბ) ვინაიდან ეგვიპტური ჯიშების სათესი ფართობი გადიდებულია და ახალ კოლექტიურ მეურნეობებს ათვისებული არა აქვთ ეგვიპტური ჯიშების თესვა, — დაავალონ აზერბაიჯანის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და აზერბაიჯანის მებაამეობის ტრაქტორცენტრს — მოაწყონ მოკლევადიანი კურსები აგრონომებისა და აგროტექნიკოსების გარდასამზადებლად ეგვიპტური ბამბისათვის;

გ) დაავალონ აზერბაიჯანის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს — დაადგინოს 1934 წლის თებერვლის 1-მდე რაიონების ხაზით ეგვიპტური ბამბის კულტურის სავალდებულო აგროწესები, თვითეული რაიონის თვისებურების მხედველობაში მიღებით, და უზრუნველჰყოს ამ აგროწესების ფართო განხილვა კოლექტიურ მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში.

### საბჭოთა მეურნეობანი.

აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და პარტიულმა ცენტრალურმა კომიტეტებმა უნდა დაავალონ აზერბაიჯანის მებაამეობის საბჭოთა მეურნეობებს — გაზალონ მასსურია მუშაობა მუშა-ძალის მოგროვებისა და კოლექტიურ მეურნეობებთან ხელშეკრულების დადებისათვის, მუშაობის ვადებისა და შრომის სასყიდლის ზედმოწვევითი განსაზღვრით; შეიმუშაონ და რეალიზებულჰყონ ღონისძიებანი საბჭოთა მეურნეობების მუშათა მუდმივი კადრების შესაქმნელად და მისამაგრებლად; გააუმჯობესონ მუშათა საბინაო პირობები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება; განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება მაღარიასთან ბრძოლისათვის და საბჭოთა მეურნეობების მუშათა და მოსამსახურეთა სანიტარულ-ჰიგიენური მომსახურებისათვის; თანაც ყოველ ღონით დააჩქარონ საბინაო-საყოფაცხოვრებო მშენებლობა.

დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულმა ა/კსუსრ სკს-თან, ა/კსუსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად, უნდა წარუდგინოს, არა უგვიანეს თებერვლის 5-სა, ა/კსუსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად

ბამბის კონტრაქტაციის შესახებ დადგენილებისა და ტიპური ზელშეკრულების პროექტი,

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი მოითხოვენ ყველა საბჭოთა, პარტიულ და საადგილმამულო ორგანოსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურის და საბჭოთა მეურნეობის პოლიტგანყოფილებისაგან თავის დროზე განახორციელოს ყველა ღონისძიება 1934 წელს ბამბის თესვის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. ადგილებზე ფართოდ უნდა იქნეს გაშლილი მასსური ახსნა-განმარტებითი პოლიტიკური მუშაობა, მობილიზებულ უნდა იქნენ კოლშეურნეთა, მშრომელ ინდივიდუალურ მეურნეთა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა ფართო მასები ბამბის საგაზაფხულო თესვის ამოცანების გარშემო; თანაც მკვეთრად უნდა განიდევნოს მუშაობიდან თვითგანყოფილებისა და თვითდენის ელემენტები; უფრო მეტად გამახვილებულ უნდა იქნეს კლასობრივი სიფხიზლე კულაკებისა და მათი აგენტურის მავნე, ძირისმთხრელი მუშაობისადმი; ბოლშევიკური კონტროლის ქვეშ დაყენებულ უნდა იქნეს თესვის განმზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო ყველა ღონისძიების აღსრულება (თესვისწინა სამუშაოები, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების გამზადება, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტი, საწვევი ძალისა და კადრების მომზადება, კოლექტიური მეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების საორგანიზაციო-საწარმოო გეგმების შედგენა და სხვა მისთ.).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი მოითხოვენ ბამბის თესვის გეგმის უცილობლად და თვისებრივ კარგად შესრულებას და, თესვის სამუშაოების დამთავრებისას, ყველა ძალების დაუყოვნებლივ დამუშავება-მარგვლის სამუშაოებზე გადაყვანას, რამაც უნდა უზრუნველჰყოს ბამბის მინდვრების მოსავლიანობის გადიდება და ბამბის პროდუქციის თვისების გაუმჯობესება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

სრულიად საკავშირო კომუნისტური

პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო

კომიტეტის მდივანი ლ. ბერია.

1934 იანვრის 19.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას“ 22 №-ში 1934 წ. იანვრის 25-ს.



## დადგენილება ა/კსსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა.

### 6. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს მეცხოველეობისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

ა/კსსრ სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი აღნიშნავენ, რომ მეცხოველეობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის 1933 წელს განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ა/კსსრ შედგენილობაში შემავალმა რესპუბლიკებმა მიაღწიეს შესაძენე წარმატებას სოციალისტური მეცხოველეობის ზრდის საქმეში (საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების დაკომპლექტების გეგმის გადამეტებით შესრულება, თივის მოსავლის აღების კამპანიის დამაკმაყოფილებლად ჩატარება, ზამთარში ოთხფეხი საქონლის ყოფა-მდგომარეობის ღონისძიებათა განხორციელება და სხვა მისთ.).

მინც ა კსსრ სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) სამხარეო კომიტეტი აღნიშნავენ, რომ მთელმა რიგმა ცენტრალურმა ორგანიზაციებმა და აგრეთვე პარტიულმა რაიონულმა კომიტეტებმა, სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა, მეცხოველეობის ტრესტების, მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებმა, საადგილმამულო განყოფილებებმა, საკოლმეურნეო ფერმების შენაერთებმა და ცალკეულ კოლექტიურ მეურნეობათა გამგეობებმა ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ შეაფასეს მეცხოველეობის განვითარებისა და განმტკიცების ამოცანები.

სოციალისტური მეცხოველეობის შემდგომი სასწრაფო ზრდის და განმტკიცებისა, მისი თვისებრივი მაჩვენებლების აღმავლობისა, ოთხფეხი საქონლის მიერ ზამთრის საუკეთესოდ გატარებისა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებში, გაზაფხულზე ხბოების და კვიცების მოგების სამზადისის საუკეთესოდ ჩატარებისა და 1934 წლის გაზაფხულის ნამატის მთლად შენარჩუნების მიზნით—ა/კსსრ სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი ავალენენ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და პარტიულ ცენტრალურ კომიტეტებს, ა/კსსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულს უზრუნველჰყონ შემდეგ ღონისძიებათა განხორციელება:

#### 1. ოთხფეხი საქონლის დაზამთრება.

ერთი დეკადის ვადაზე დამთავრებულ იქნეს იმის შემოწმება, გამოჰყვეს თუ არა საბჭოთა მეურნეობებმა და კოლექტიურმა მეურნეობებმა საკვები ისეთი რაოდენობით, რაც მთლად უზრუნველჰყოფს საბჭოთა მეურნეობებისა და სასაქონლო ფერმების საქონლის და კოლმეურნეთა განსაზოგადოებელი საქონ-

ლის წლიურ მოთხოვნილებას; შემოწმებულ იქნეს, გამოყოფილია და დაგროვილია თუ არა მუშა-საქონლისათვის საგაზაფხულო სამუშაოების პერიოდში საჭირო ხელუხლებელი ფონდი; სარაიონო საადგილმამულო განყოფილებათა გამგებმა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურთა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა და პოლიტგანყოფილებათა უფროსებმა უნდა უზრუნველჰყონ გამოყოფილი საფურაჟო ფონდების გადაცემა ფერმების გამგებისა და ბრიგადებისათვის უეჭველად აქტებით; უზრუნველყოფილ იქნეს ფურაჟის თავის დროზე მიზიდვა დაზამთრების პუნქტებში, სათანადო შენახვა და რაციონალური გამოყენება.

## 2. გაზაფხულზე ხბოების და კვიცების მოგებისა, ცხვრის დოლისა და გოჭების დაყრის ჩატარება.

ა) განსაკუთრებულ მეთვალყურეობის ქვეშ დაყენებულ იქნეს მოზარდ ცხოველთა შენარჩუნების საქმე 1934 წელს და ამის შესაბამისად უნდა გაფართოვდეს პარტიული რაიონული კომიტეტების მდივანთა, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა, საადგილმამულო ორგანოების ხელმძღვანელთა, საბჭოთა მეურნეობების დირექტორთა და კოლექტიური მეურნეობების თავმჯდომარეთა პასუხისმგებლობა მოზარდ ცხოველთა შენარჩუნებისათვის; ამასთანავე, მოზარდ ცხოველთა დანაკლისში პერსონალურად დამნაშავე პირნი უნდა მიიცივნენ სასტიკ პასუხისგებაში;

ა/კსდსრ სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ უგულვებელი მოკიდება მოზარდ ცხოველთა შენარჩუნებისა და გამოზრდის საქმისადმი ნაგულისხმევი იქნება როგორც პარტიისა და მთავრობის უაღრესი მნიშვნელობის მქონე ღონისძიებათა ჩაშლა ცხოველთა რეპროდუქციის საქმეში;

ბ) 1934 წელს ხბოების და კვიცების მოგებისა, ცხვრის დოლისა და გოჭების დაყრის საქმის მოსაწყობად თვითეულ საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმასა და საბჭოთა მეურნეობაში განმზადებულ იქნეს გაწყობილი საშობელი სადგომები, დამთბარი და დეზინფიცირებული; საშობელ განყოფილებებში გამოცალკეებულნი უნდა იყოს გაწყობილი ფართობი ხბოებისათვის; საშობელი განყოფილებანი უზრუნველყოფილ უნდა იქნენ სათანადო თვისების ქვეშაშლელით, როგორც დედა-ცხოველებისა, ისე მონაშენისათვის;

გ) დამყარებულ იქნეს დედა-ცხოველთა განსაკუთრებული მოვლა; ის დედა-ცხოველნი, რომელთაც ახლო ხანში უნდა მოიგონ, გამოცალკეებულ უნდა იქნენ და უზრუნველყოფილი განსაკუთრებული მოვლით და კვებით;

მაკე ცხენები განთავისუფლებულ იქნენ მძიმე სამუშაოსაგან, ხოლო ერთი თვით ადრე კვიცის მოგებამდე უნდა მთლად მოისპოს მათი მუშაობა;

დ) უზრუნველყოფილ იქნეს საქონლის ყველა ბაკი სადეზინფექციო საშუალებით და ვეტსანიტარებით; დამყარდეს ვეტსანიტართა მორიგეობა საშობელ განყოფილებებში ღამ-ღამობით;

ე) უზრუნველყოფილ იქნეს ნარდი სასყიდლის დაწესება ყველა იმ სამუშაოსათვის, რასაც ასრულებენ მეცხოველეობის ბრიგადები, ნამატ ცხოველთა რიცხვისა, მათი შენარჩუნებისა და სხვა მისთ. შესაბამისად.

### 3. დაგრილების კამპანია.

ა) არა უგვიანეს 1934 წ. თებერვლის 5-სა შემუშავებულ და ადგილები-სათვის მიწოდებულ იქნეს მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა, ღორებისა და ცხენების დაგრილების კამპანიის გეგმები; განისაზღვროს დაგრილების პუნქტების განაწილება და დავალებანი თვითეული დაგრილების პუნქტისათვის კოლექტიური მეურნეობებისა, სასოფლო საბჭოებისა, „ათბაკეულებისა“ და „ოცბაკეულებისა“ მიხედვით; უზრუნველყოფილ იქნეს დაგრილების გეგმების ფართო დამუშავება და განხილვა კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა და მშრომელ ინდივიდუალურ მეურნეთა მიერ;

ბ) დაევალოს სირაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, მათი პირადი პასუხისმგებლობით, შეამოწმონ თებერვლის 10-მდე, რამდენად უზრუნველყოფილია წინამდგომარე დაგრილების კამპანია სანაშენო ცხოველებით, და მთელი რიგი ღონისძიებებით უზრუნველპყონ სანაშენო ცხოველებისადმი მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება;

დაევალოს ყველა კოლექტიურ მეურნეობას და სასოფლო საბჭოს — მოაწყოს საზოგადოებრივი სანაშენო ცხოველების შენახვა და გამოიყენოს ეს ცხოველები კოლმეურნეთა და მშრომელ ინდივიდუალურ მეურნეთა ინდივიდუალურ სარგებლობაში მყოფი საქონლისათვის; საბჭოთა მეურნეობები გამოპყოფენ სანაშენო ცხოველთა კოლექტიური მეურნეობებისა და მშრომელი ინდივიდუალური მეურნეობების საქონლისათვის მომსახურების გასაწევად საბჭოთა მეურნეობების მდებარეობის რაიონებში;

გ) უზრუნველყოფილ იქნეს დაგრილების კამპანია მეცხენეობის ხაზით საგლეხო სექტორში, რისთვისაც მოეწყოს საჭირო რიცხვის დაგრილების პუნქტები მეცხენეობის სახელმწიფო საშენებლის ხაზით, „მოწონებულ“ და დროებით მისაშვები ულაყების გამოსაყენებლად;

კატეგორიულად აიკრძალოს დაგრილების კამპანიის მთელი ხნის განმავლობაში გამოყოფილ სანაშენო ცხოველთა მუშაობაში გამოყენება და დაევალოს რესპუბლიკანურ მეცხენეობის სამმართველოებს — იხმარონ ღონისძიებანი დაგრილების პუნქტების ყველა ულაყის საჭირო საკვებით უზრუნველყოფისათვის დაგრილების კამპანიის პერიოდში;

დ) თვითეულ კოლექტიურ მეურნეობასა და სასოფლო საბჭოში გამოყოფილ იქნენ სპეციალური პირები, რომელნიც პასუხისმგებელ იქნებიან საგაზაფხულო დაგრილების კამპანიის ჩატარებისა და აღრიცხვისათვის;

საერთო ხელმძღვანელობა და პასუხისმგებლობა დაგრილების კამპანიისათვის რაიონში დაეკისროს პერსონალურად სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, სარაიონო საადგილმამულო განყოფილების გამგეს და საბჭოთა მეურნეობის დირექტორს.



#### 4. ოთხფენი საქონლის თვისების გაუმჯობესების ღონისძიებანი.

ა) მოწყობილ იქნეს 1934 წელს საჯიშეები: ერთი საჯიშე თუშური ცხვრის ჯიშისა—საქართველოს სსრ-ში; თითო საჯიშე „ბალბასის“ ჯიშისა—აზერბაიჯანის სსრ-სა და სომხეთის სსრ-ში; ერთი საჯიშე—მეგრული თხის ჯიშისა—საქართველოს სსრ-ში; ა/კფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა, რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან ერთად, უნდა შეიმუშაოს ორი დეკადის ვადაზე საჯიშეების მოწყობის წესი და წარუდგინოს დასამტკიცებლად ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს;

საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კფსრ-ში უნდა გაითვალისწინოს 1934 წლის გეგმებში ბაშკიჩეთისა, ლისოგორსკისა (მსხვილფეხა რქ. საქონ.), მინგეჩაურის (მეცხვარეობის) და თელავის (მელორეობის) საბჭოთა მეურნეობების საჯიშო მიმართულების საბჭოთა მეურნეობებად გადაყვანა (უკვე არსებული ღორის საჯიშო საბჭოთა მეურნეობის გარდა);

ბ) დაამტკიცებულ იქნეს 1934 წელს 130 ზოოპუნქტის მოწყობა; აქედან: აზერბაიჯანის სსრ-ში—52-სა, სომხეთის სსრ-ში—26-სა და საქართველოს სსრ-ში—52-სა;

ა/კფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა, რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან ერთად, უნდა გამოჰყოს ორი დეკადის ვადაზე ის რაიონები, სადაც პირველყოვლისა მოწყობილ უნდა იქნეს ზოოპუნქტები, და თანაც შეიმუშაოს მათი ორგანიზაციის წესი;

გ) 1934 წლის განმავლობაში საჯიშო ფერმების რაოდენობა მიღწევილებულ იქნეს: მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა აზერბაიჯანის სსრ-ში—8-მდე; აქედან 5 შვიცის ჯიშის საქონლისა და 3—ყაზახის ჯიშის საქონლისა; საქართველოს სსრ-ში—13 ფერმა; აქედან: 8 შვიცის ჯიშის საქონლისა და 5 მთის ჯიშისა (ხევსურული); სომხეთის სსრ-ში—10 ფერმა; აქედან 7 შვიცის ჯიშისა და 3 ყაზახის ჯიშისა;

მეცხვარეობის ფერმები: აზერბაიჯანის სსრ ში—12 ფერმა; აქედან: 2 „ბალბას“ ჯიშის ცხვრისა, 3 თუშური ცხვრისა, 3 „კარაკულის“ ჯიშისა და 4 მერინოსის ჯიშისა; სომხეთის სსრ-ში—10 ფერმა „ბალბას“ ჯიშისა და 3 „კარაკულის“ ჯიშისა; საქართველოს სსრ-ში—10 ფერმა თუშური ცხვრის ჯიშისა;

მელორეობის ფერმები: აზერბაიჯანის სსრ-ში—3 ფერმა თეთრი ინგლისური ჯიშისა; სომხეთის სსრ-ში—2 ფერმა თეთრი ინგლისური ჯიშისა; საქართველოს სსრ-ში—5 ფერმა თეთრი ინგლისური ჯიშისა;

დ) საჯიშო ფერმების მოწყობის გეგმასთან და, ჯიშების დარაიონების გეგმის თანახმად, საქონლის თვისებრივი გაუმჯობესების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, ა/კფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა, რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით, უნდა დაადგინოს თებერვლის 5-ს საჯიშო მისალის შემოზიდვის გეგმა;

ე) ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანოს წინაშე დაყენებულ იქნეს, როგორც ცენტრალური ამოცანა,—თვისებრივი მაჩვენებლების აღმავლობა, რისთვისაც ფართოდ გამოყენებულ უნდა იქნეს საქონლის მომსახურე—საბჭოთა მეურ-

ნეობებში—მუშების და კოლმეურნეების ნატურალური და ფულადი დაბრემიება საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლების მიღწევისათვის მოზარდ ცხოველთა შენარჩუნების და პროდუქციის გამოსავლის სფეროში.

**5. მეცხოველეობის წვრილ დარგთა ხაზით.**

ა) გაძლიერებულ იქნეს საინკუბატორო-საფრინველო სადგურების ოპერატიული ხელმძღვანელობა, რათა ეს სადგურები გადაიქცნენ მათ მიერ მომსახურება-გასაწევი რაიონების საკოლმეურნეო მეფრინველეობისა და მშრომელი ინდივიდუალური მეურნეობების მეფრინველეობის ნამდვილ ორგანიზატორებად და ხელმძღვანელებად;

ბ) განისაზღვროს 1934 წელს ა/კსფსრ-ში საინკუბატორო-საფრინველო სადგურების შემდეგი ქსელი:

**აზერბაიჯანის სსრ-ში**—ასტრახან-ბაზარისა, შამხორისა, დივიჩისა და ყუბის სადგურები;

**სომხეთის სსრ-ში**—ლენინაკანის სადგური;

**საქართველოს სსრ-ში**—გურჯაანისა, ზუგდიდისა და სამტრედიის სადგურები;

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით, განსაზღვროს თებერვლის 1-დე თვითეული საინკუბატორო-საფრინველო სადგურისათვის კვერცხის ჩაწყობისა და წიწილების გამოჩეკის გეგმა;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საკარმიდამო მეფრინველეობისა, შინაური მეკურდღლეობისა და მეფუტკრეობის განვითარებას კოლმეურნეთა და მშრომელ ინდივიდუალურ მეურნეთა შორის საჯიშო მასალის დარიგებით, მასლური ახსნა-განმარტებითი მუშაობისა და წამხალისებელ ღონისძიებათა ჩატარებით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი მოითხოვენ პარტიული რაიონული კომიტეტების მდივნებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებისაგან, განსაკუთრებით ბოგდანოვის, ახალქალაქის, ბაშკიჩეთის, წალკის, დუშეთის, სტეფანავანის, ყარაქლისის, დელიჯანის, ნორ-ბაიაზეთის, ალაბაბის, ქედაბეკის, ქელბაჯარის და ყუბის რაიონებისა, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის, მთის ყარაბაღის ავტ. ოლქის და სხვ., მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება მეფუტკრეობის განვითარებას კოლექტიურ მეურნეობებში და ცალკეულ კოლმეურნეთა და მშრომელ ინდივიდუალურ მეურნეთა შორის და უზრუნველჰყონ ისინი ფართო დახმარებით და წამხალისებელ ღონისძიებათა გაშლით.

**6. საქონლის საკვები ბაზისის განმტკიცებისა და გაფართოების ხაზით.**

ა) დაევალოს რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ტრესტებს და

სარაიონო საადგილმამულო განყოფილებებს—უზრუნველჰყონ საკვები კულტურების თესვის გეგმის მთლად შესრულება და არავითარ შემთხვევაში აღარ გამოარდეს ის გარღვევანი და საქმის ჩაშლა, რამაც თავი იჩინა წინა წლებში;

ბ) ა/კსტსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა უნდა წარუდგინონ 1934 წლის თებერვლის 10-ს ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსახილველად 1934 წლის თიბვისა და დასილოსების გეგმა.

ვინაიდან ა/კსტსრ-ის საქონლის საკვებთა ბაზისში საძოვრებს—განსაკუთრებით საზაფხული საძოვრებს—უპირატესი მნიშვნელობა აქვს, წინადადება მიეცეს ა/კსტსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს:

ა) დაამთავრონ 1934 წლის თებერვლის 15-მდე საზაფხულო საძოვრების განაწილება და გრძელვადიანი მიმაგრება კოლექტიურ მეურნეობებზე, ფერმებზე და სასოფლო საბჭოებზე;

ბ) გაითვალისწინონ 1934 წლის გეგმებსა და ხარჯთაღრიცხვებში სამელიორაციო სამუშაოები ველების ძირითადი გაუმჯობესებისა, წესიერი სასაძოვრო მეურნეობის მოწყობისა და საძოვრებზე საქონლის სარეკი გზების მოგვარებისათვის;

გ) შეიმუშაონ და მიაწვდინონ ყველა მოსარგებლემდე (კოლექტიური მეურნეობა და სასოფლო საბჭო) სავალდებულო წესები მასზე მიმაგრებული ველებისა და საძოვრების გაუმჯობესების შესახებ, შეიტანონ ეს წესები ხელშეკრულებებში და დაამყარონ ნამდვილი კონტროლი და პასუხისმგებლობა ამ წესების შესრულებისათვის;

დ) გაითვალისწინონ 1934 წლის გეგმებში—თიბვის მიზნით სასაძოვრო ნაკეთების ველებად გადაქცევის გეგმა;

ე) საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულის საბჭოთა მეურნეობებმა უნდა დაამთავრონ 1934 წელს საძოვრების მოწყობა და ჩაატარონ ღონისძიებანი სათიბი ფართობების გაუმჯობესებისათვის.

7. დაევალოს ა/კსტსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—შემოიღონ სავალდებულო ვეტსანიტარული წესები საქონლის სადგომების მოვლა-შენახვისა, დეზინფექციის მოხდენისა და სხვა მისთ. შესახებ და მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება სხვადასხვა საინფექციო დაავადებათა წინასწარ აღმკვეთ ღონისძიებათა განხორციელებას.

ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად საქავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი მიაქცივენ პარტიული რაიონული კომიტეტების მდივნებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეების განსაკუთრებულ ყურადღებას იმაზე, რომ საქიროა სისტემატური და კონკრეტული ხელმძღვანელობის განწვევა მუდმივი სავეტერინარო მუშაობისათვის და წინადადებას აძლევენ მათ მიიღონ თავიანთი უმუშალო მეთვალყურეობის ქვეშ მუშაობის ეს დარგი.

8. ზოვეტერსონალის დენადობის აღმოფხვრისა და საბჭოთა მეურნეობებსა და რაიონებზე კადრების მიმაგრების მიზნით რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა და პარტიულმა ცენტრალურმა კომიტეტებმა უნდა იხმარონ ღონისძიებანი ზოვეტერსონებისა, საკვებთა მიმცემლებისა და ვეტერინარ-ექიმების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული პირობების გაუმჯობესებისათვის და უზრუნველჰყონ ისინი ბინებით, კომუნალური მომსახურებით და მომარაგებით რაიონის ნომენკლატურულ მომუშავეთა თანაბრად.

9. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, 1934 წელს მეცხოველეობის ხაზით ღონისძიებათა განხორციელების დროს, მიიღონ მხედველობაში ინდივიდუალური სექტორის მეცხოველეობის მოწყობისა და მომსახურების ღონისძიებათა შეუფასებლობა, რამაც თავი იჩინა წარსულში, და უზრუნველჰყონ 1934 წელს კონკრეტული ხელმძღვანელობისა და დახმარების გაწევა კოლმეურნეთა ინდივიდუალურ სარგებლობაში მყოფი საქონლისა და მშრომელ ინდივიდუალურ მეურნეობათა საქონლის შემდგომი ზრდისა და განმტკიცების საქმეში.

10. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა წარუდგინოს 1934 წლის თებერვლის 5-მდე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან ერთად შემუშავებული გეგმა 1934 წლის იანვრის 1-თვის საკოლმეურნეო მეცხოველეობის სასაქონლო ფერმების (1934 წლის იანვრის 1-თვის დარეგისტრებული) ნახირთა, ჯოგთა და ფარათა დაკომპლექტებისა მათი საკუთარი რეპროდუქციოდან.

11. ა/კსფსრ-ის კოლმეურნეთა შორის უძროხობის ლიკვიდაციისათვის საჭირო ღონისძიებათა შემდგომი გაშლის მიზნით დაწესებულ იქნეს, 1933 წლის მავალითისამებრ, ხბოების კონტრაქტაცია და შესყიდვა იმ კოლმეურნეთათვის, რომელთაც არა ჰყავთ ძროხები პირად სარგებლობაში.

ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა წარუდგინოს მისის 1-დე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს გეგმა ხბოების კონტრაქტაციის და დარიგებისა იმ კოლმეურნეთათვის, რომელთაც არა ჰყავთ ძროხები პირად სარგებლობაში.

12. 1934 წლის საიალლო კომპანიის წარმატებით ჩატარებისა, ზამთრის საძოვრებიდან საქონლის საზაფხულო საძოვრებზე გადარეკის და უკანვე დაბრუნების წესიერად მოწყობისა, აგრეთვე საბამზე რაიონებიდან მშრომელი მოსახლეობის სამთაბაროდ მასშურად გასვლის წინასწარ აღკვეთის უზრუნველყოფის მიზნით—ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა შეიმუშაოს და წარუდგინოს დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, არა უგვიანეს თებერვლის 10-სა, ღონისძიებანი 1934 წლის საიალლო კომპანიის მოწყობისათვის.

13. აღინიშნოს—1933 წელს მეცხოველეობის სფეროში ძირითადი კამპანიების (ხბოების მოგება, ცხვრის დოლი, ღორების დაყრა, კვიცების მოგება, დაგრილების კამპანია და სხვა მისთ.) აღრიცხვისა და ანგარიშგების სრულად არაღამაკმაყოფილებლად დაყენება და წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქ-

მედების სახალხო კომისარიატს, რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოებს—უზრუნველჰყონ 1934 წელს მეცხოველეობის სფეროში აღრიცხვის დაყენების სათანადო ხარისხი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი მიაქცევენ ყველა პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციის ყურადღებას იმას, რომ საჭიროა სამაგალითო და სადამკვრელო მუშაობა მეცხოველეობის სფეროში მიმდინარე წელს ამ საქმის ყველა ნაკლოვანების გადაჭრით ლიკვიდაციისათვის; გადიდებულ უნდა იქნეს საბჭოთა მეურნეობებისა, კოლექტიური მეურნეობებისა და რაიონების მომუშავეთა პასუხისმგებლობა მეცხოველეობის სფეროში დავალებათა შესრულების ხარისხისათვის ისევე, როგორც თევისა და სხვა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმების შესრულებისათვის.

საბჭოთა მეურნეობების მუშათა, კოლმეურნეთა და მშრომელ ინდივიდუალურ მეურნეთა მასების ფართო მობილიზაციით სოციალისტური მეცხოველეობის შემდგომი და უფრო სწრაფი განვითარების ამოცანების გარეშე, საუკეთესო საბჭოთა მეურნეობების, კოლექტიური მეურნეობების, ფერმების და ბრიგადების სანიმუშო მუშაობის ფართო ჩვენებით, კულაკური საბოტაჟის ყოველგვარი გამოვლინების შემუსვრით,—პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველჰყონ 1934 წელს მეცხოველეობის ყველა თვისებითი და რაოდენობითი მაჩვენებლების უცილობელი აღსრულება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე **მ. მუსაბეკოვი.**

სრულიად საკავშირო კომუნისტური  
პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო

კომიტეტის მდივანი **ლ. ბერია.**

1934 წ. იანვრის 19.

ტფლისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას“ 23 №-ში 1934 წ. იანვრის 26-ს.

**დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი  
და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ)  
ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა.**

**7. 1933 წლის მოსავლის ბამბის ჩაბარების სახელმწიფო გეგმის გადამეტებით შესრულებისათვის დაპრემიების შესახებ.**

აზერბაიჯანის სსრ-ში 1933 წლის მოსავლის ბამბის ჩაბარების წლიური გეგმის გადამეტებით შესრულების გამო ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი ადგენენ:

1. ბაზმისათვის ბრძოლაში მასხების დასარაზმავად ჩატარებული ენერგიული მუშაობისა და ხელმძღვანელობის გამო, რის შედეგადაც 1934 წლის იანვრის 10-მდე გეგმა სახელმწიფოსათვის ბაზმის ჩაბარებისა აზერბაიჯანის სსრ-ში შეასრულებულა გადამეტებით, დაპრემიებულ იქნენ, რაიონებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მომუშავეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, შემდეგი საბაზმე რაიონები, რომელთაც მოგვეცეს მუშაობის საუკეთესო მაჩვენებლები, თითო 50.000 მანეთის რაოდენობით:

ა) ზანგელანის რაიონი, რომელმაც ბაზმის ჩაბარების გეგმა შეასრულა 215 პროცენტით; რაიონული კომიტეტის მდივანი—ამხ. კაფაროვი, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—ამხ. ჯაგარლინსკი; სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსი—ამხ. ახმედოვი, სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექტორი—ამხ. ჰუსეინოვი;

ბ) ყასიმ-ისმაილის რაიონი, რომელმაც ბაზმის ჩაბარების გეგმა შეასრულა 122, 5 პროც.; რაიონული კომიტეტის მდივანი—ამხ. ალი-აქპეროვი; სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—ამხ. ეფენდიევი; სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსი—ამხ. გიუღინსკი; სამანქანო სატრაქტორო სადგურის დირექტორი—ამხ. თონიანი;

გ) განჯის რაიონი, რომელმაც ბაზმის ჩაბარების გეგმა შეასრულა 115,4 პროც.; საქალაქო კომ-ტის მდივანი—ამხ. თალიევი, ქ. განჯის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე—ამხ. გამიდსულთანოვი; სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსი—ამხ. ნადირშინი, სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექტორი—ამხ. ჯაგარლინსკი;

დ) აღდაშის რაიონი, რომელმაც ბაზმის ჩაბარების გეგმა შეასრულა 108,5 პროც.; რაიონული კომიტეტი მდივანი—ამხ. მეხთიევი; სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—ამხ. ფარიზალიევი; სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსი—ამხ. ხეჩუმოვი; სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექტორი—ამხ. სამსონოვი.

2. სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო დარწმუნებულნი არიან, რომ ბაზმისათვის ბრძოლაში 1934 წელს ყველა საბაზმე რაიონი გვიჩვენებს მუშაობის საუკეთესო ნიმუშს და უზრუნველყოფს საბჭოთა ქვეყნისათვის 160.000 ტონა მალახარისხოვან ნედლე ბაზმას.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

სრულიად საკავშირო კომუნისტური

პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო

კომიტეტის მდივანი ლ. ბერია.

1934 წ. იანვრის 24.

ტიფლისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას“ 22 №-ში 1934 წ. იანვრის 25-ს.

## დადგენილება ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**მ. ა/კფსრ-ში საცდელი მშენებლობის ფონდის სახსართა ხარჯვის წესის შესახებ.**

„საცდელი მშენებლობის ფონდების სახსართა ხარჯვის წესის შესახებ“ გამოცემული სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ივნისის 11-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 37 №-ი, მუხ. 226) ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საცდელი მშენებლობის ფონდის სახსარს, რაც ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებაშია, შეადგენს წმინდა მშენებლობაში დაბანდებული კაპიტალების თანხის ანარიცხი  $\frac{1}{4}\%$ -ის რაოდენობით მთლად იმ მშენებლობის მიხედვით, რასაც ა/კფსრ ტერიტორიაზე ანხორცილებენ ფედერატიული და რესპუბლიკანური ქვემდებარეობის ორგანოები, საირიგაციო და სამელიორაციო სამუშაოებისა და საწარმოო გაწყობილობის გამოკლებით.

2. საცდელი მშენებლობის ფონდში პროცენტების გადარიცხვას აწარმოებენ უშუალოდ იმ ბანკების ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური კონტორები, რომელნიც აფინანსებენ ფედერატიული და რესპუბლიკანური ქვემდებარეობის მშენებლობას, თანახმად წმინდა მშენებლობაში დაბანდებული კაპიტალების თანხებისა, რაც დამტკიცებულ იქნება ყოველი წლისთვის, დაწყებული 1934 წლიდან.

3. ბანკების მიერ საცდელი მშენებლობის ფონდში გადარიცხული თანხები შედის ა/კფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის განკარგულებაში; იგი გამოსცემს ინსტრუქციას სახსართა გადარიცხვისა და გაცემის წესისა და ამ სახსართა დახარჯვის ანგარიშების შესახებ.

4. საცდელი მშენებლობის ფონდში გადარიცხული თანხებით დაფინანსდება:

ა) ამიერკავკასიის მუდმივი სამშენებლო გამოფენა—ამ გამოფენის შენობის სამშენებლო სამუშაოების განხორცილებისა, ექსპონატების დამზადების და შექმნისა და აგრეთვე ა/კფსრ-ში სამშენებლო-ტექნიკური პროპაგანდის შესაბამისი მუშაობის წარმოებისათვის;

ბ) სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა მშენებლობის სფეროში და საცდელი მშენებლობა, რასაც ანხორცილებენ ამიერკავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტი და უწყებანი.

5. სამუშაოთა გეგმებს თვითიველი წლისთვის შეადგენენ: ამიერკავკასიის მუდმივი სამშენებლო გამოფენის ხაზით—გამოფენის კომიტეტი, ხოლო სამეცნიერო-საკვლევო მუშაობისა და საცდელი მშენებლობის ხაზით—ამიერკავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტი, უწყებებთან შეთანხმებით; გეგმები წარიდგინება ა/კფსრ სახელმწიფო საგვემო კომისიაში განხილვისა და საცდელი მშენებლობის ფონდის სახსართა განაწილების მიზნით.

სახსართა განაწილების პროექტს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია შეუთანხმებს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და წარუდგენს დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

6. მეთვალყურეობა საცდელი მშენებლობის ფონდში ანარიცხთა წესიერად შესვლისათვის და კონტროლი საცდელი მშენებლობის ფონდიდან გაცემულ სახსართა მიზნობრივი დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის ეკისრება ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ილიუშინი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. ბუკრევი.

1933 წ. დეკემბრის 26.  
ტფილისი.

### დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

9. 1934 წელს საგანაკვეთო სადაზღვეო გადასახადის 1%-იანი ანარიცხებიდან 250.000 მან, დახარჯვის გეგმის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საჭიროდ იქნეს მიჩნეული, რათა სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის ივლისის 27-ის დადგენილებით (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 48 №-ი, მუხ. 281) სტიქიურ უბედურებათა წინააღმდეგ ბრძოლისა და წინასწარ აღკვეთის ღონისძიებათათვის დაწესებულ საგანაკვეთო სადაზღვეო გადასახადის 1%-იანი ანარიცხი გამოყენებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა გაწყდომის წინააღმდეგ ბრძოლისა და წინასწარ აღკვეთის საქმეზე, ვინაიდან ამ ღონისძიებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ა/კსფსრ-ში მეცხოველეობის შენარჩუნებისა, აღდგენისა და განვითარებისათვის.

2. დამტკიცებულ იქნეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა სიკვდილიანობის წინასწარ აღკვეთისა და წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გეგმა და 1934 წელს საჭირო თანხების ხარჯთაღრიცხვა 242 ათასი მანეთის რაოდენობით (იხ. დანართი).

3. წინადადება მიეცეს „ა/კ. სახდაზღვევას“—საქონლის გაწყდომის წინააღმდეგ ბრძოლისა და წინასწარ აღკვეთისათვის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სახსარი აძლიოს სამეცნიერო-საკვლევო სავეტერინარო ინსტიტუტ-



ტებს გეგმებში გათვალისწინებული საღუაოების ფაქტიური განხორციელების კვალობაზე, და აწარმოოს სისტემატური მეთვალყურეობა და კონტროლი სამუშაოების აღსრულებისა და გაცემული სახსარის წესიერად ხარჯვისათვის პირდაპირი დანიშნულისამებრ.

4. დაევალოს ა/კსტს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—განახორციელოს თავისი მხრით მეთვალყურეობა და კონტროლი გეგმაში აღინიშნულ ღონისძიებათა ჩატარებისათვის და წარუდგინოს ხოლმე „ა/კ. სახდაზღვევას“ თვითიული კვარტალის ანგარიშგება შესრულებულ სამუშაოთა და დახარჯულ ფულად სახსართა შესახებ.

5. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) განიხილონ არა უგვიანეს 1934 წ. იანვრის 10-სა „სახდაზღვევის“ და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების რესპუბლიკანური ორგანოების მიერ წარდგენილი სათანადო გეგმები და ხარჯთაღრიცხვები იმ ანარიცხების ხარჯვისა, რაც გადადებულია სტიქიურ მოვლენათა და უბედურ შემთხვევათა წინააღმდეგ ბრძოლისა და წინასწარ აღკვეთის, რაიონული და რესპუბლიკანური მნიშვნელობის მქონე, ღონისძიებათათვის (8,5 და 0,5- $\frac{0}{10}$ -იანი ანარიცხებიდან), როგორც საქონლის გაწყდომისა, ისე სახანძრო და სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით გათვალისწინებულ სხვა ღონისძიებათა ხაზით;

ბ) უზრუნველყონ მეთვალყურეობისა და კონტროლის გაწევა ლიტ. „ა“-ში აღნიშნულ ღონისძიებებზე გაცემულ სახსართა წესიერი გამოყენებისათვის.

6. ნება დაერთვას „ა/კ. სახდაზღვევას“—დაარეზერვოს 8.000 მან. ა/კსტს ტერიტორიაზე ხანძართან ბრძოლის სფეროში გამოცდებისა და გამოკვლევების საქმის დასაყენებლად საჭირო სამუშაოებისათვის და ხარჯოს ეს ფული ა/კსტს შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიერ წარდგენილი განაცხადების კვალობაზე.

ა/კსტს სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ილიუშინი.**

ა/კსტს სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ბუკრევი.**

1933 დეკემბრის 26.

ტფილისი.

დანაკით.

ხარჯთაღრიცხვა სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა სიკვდილიანობის წინააღმდეგ ბრძოლისა და წინასწარ აღკვეთის ღონისძიებათა განსახორციელებლად სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის სადაზღვეო გადასახადის 1<sup>0</sup>/<sub>10</sub>-იანი ანარიცხის ანგარიშზე.

№№	ხ ა რ ჯ ი ს ს ა გ ა ნ ი	თ ა ნ ხ ა
I. აზერბაიჯანის სსრ სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტი (აზ. სავეტ. სამეცნ.-საკვლევ. ინსტ.)		
1.	ციმბირული წყლულის ბუდეების გამოაშკარმევა და შესწავლა და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შემუშავება . . . . .	10.000 მან.
2.	საკვებით ცხერის მოწამლვის შესწავლა . . . . .	5.000 „
3.	ცხენების მენინგიტისებური დაავადება—ბიოლოგიისა და ეტიოლოგიის შესწავლა და ვაქცინაცია . . . . .	20.000 „
4.	სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა პირობლაზმოზების შესწავლა . . . . .	15.000 „
5.	მოზარდი ცხოველების ავადმყოფობათა შესწავლა . . . . .	5000 „
ჯამი . . . . .		55.000 მან.
II. სომხეთის სსრ სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტი (სომხ. სავეტ. სამეცნ.-საკვლევ. ინსტ.)		
1.	ციმბირული წყლულის ბუდეების გამოაშკარავება და შესწავლა და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შემუშავება . . . . .	10.000 მან.
2.	საკვებით მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მოწამლვის შესწავლა . . . . .	9.000 „
3.	მენინგიტისებური დაავადება—ბიოლოგიისა და ეტიოლოგიის შესწავლა და ვაქცინაცია . . . . .	20.000 „
4.	მოზარდი ცხოველების ავადმყოფობათა შესწავლა . . . . .	10.000 „
5.	სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა პირობლაზმოზურ დაავადებათა შესწავლა . . . . .	15.000 „
ჯამი . . . . .		64.000 მან.
III. საქართველოს სსრ სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტი (საქ. სსრ სახელმწ. ექსპ. ვეტერ. ინსტ.).		
1.	ციმბირული წყლულის ბუდეების გამოაშკარავება და შესწავლა და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შემუშავება . . . . .	10.000 მან.

№№	ხ ა რ ჯ ი ს ს ა გ ა ნ ი	თ ა ნ ხ ა
2.	საკვებით ცხენების მოწამლევის შესწავლა . . . . .	9.000 მან.
3.	მენიგიტიცებური დაავადება—ეტიოლოგიისა და ბიოლოგიის შესწავლა და ვაქცინაცია . . . . .	20.000 „
4.	მოზარდი ცხოველების ავადმყოფობათა შესწავლა . . . . .	10.000 „
5.	სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა პირობლახმოზურ დაავადებათა შესწავლა . . . . .	15.000 „
6.	საქართველოს სსრ სახელმწ. ექსპ. ვეტერ. ინსტიტუტის ციმბირული წყლულის განყოფილების გაფართოება . . . . .	35.000 „
7.	რქოსანი საქონლის ჭირის ვირუსის შენახულობის პირობების შესწავლა . . . . .	20.000 „
	ჯამი . . . . .	119.000 მან.
	IV. ა/კფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სავეტერინარო სექტორი.	
1.	სამუშაოთა სამეცნიერო შემოწმებისათვის კონსულტანტების მოწვევა . . . . .	4.000 მან.
	სულ . . . . .	242.000 მ.

**დადგენილება ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.**

**10. 1934 წელს მინდვრის თავებთან ბრძოლისათვის საჭირო სამუშაოების გეგმის შესახებ.**

ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1934 წელს ა/კფსრ-ში მინდვრის თავებთან ბრძოლისათვის საჭირო სამუშაოების მოცულობა ორიენტირულად განისაზღვროს 650 ათას ჰექტარის რაოდენობით, რესპუბლიკებზე შემდეგი დანაწილებით:

- აზერბაიჯანის სსრ . . . . . 200.000 ჰექტ.
- სომხეთის სსრ . . . . . 300.000 ჰექტ.
- საქართველოს სსრ . . . . . 150.000 ჰექტ.

2. წინადადება მიეცეს ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს:

ა) გააზუსტონ და საბოლოოდ განსაზღვრონ მინდვრის თავებთან ბრძოლისათვის საჭირო სამუშაოების მოცულობის გეგმა;

ბ) შეადგინონ მინდვრის თავგებთან გაზაფხულზე და შემოდგომაზე ბრძოლისათვის საჭირო სამუშაოების გეგმა და განსაზღვრონ ხარჯთაღრიცხვა;

გ) უზრუნველყონ დასახული სამუშაოების გეგმის 100 პროცენტით შესრულება; ამასთანავე, არ უნდა იქნეს დატოვებული დაუმუშავებელი ფართობები;

დ) უზრუნველყონ სამუშაოები საჭირო რაოდენობის შხამებით და მისატყუებელი მასალით; გააძლიერონ კონტროლი ჩატარებული სამუშაოების თვისებისათვის და შხამებისა და მისატყუებელი მასალის წესიერი და ეკონომიური ხარჯვისათვის;

ე) ჩაატარონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სარაიონო საადგილმამულო განყოფილებებთან ეერთად, ახსნა-განმარტებითი მუშაობა კოლექტიურ მეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და ინდივიდუალურ მეურნეთა შორის ფართო მასების ჩასაბმელად მინდვრის თავგებთან და სხვა, თავვისებურ მორღნელებთან ბრძოლის მოწყობისა და ბრძოლის ტექნიკის საქმეში, რისთვისაც ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული რაიონული პრესა.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და მანებლებთან ბრძოლის შენაერთის ა/კ. განყოფილებას—უზრუნველყონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები და მეურნეობანი (საბჭოთა მეურნეობანი, კოლექტიური მეურნეობანი, ინდივიდუალური მეურნეობანი და სხვ.) ინსტრუქციებით მინდვრის თავგებთან ბრძოლის შესახებ.

4. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და მანებლებთან ბრძოლის შენაერთის ა/კ. განყოფილებას—დაამყარონ მეთვალყურეობა ამა დადგენილების აღსრულებისათვის და 1934 წლის თებერვლის 15-თვის წარმოუდგინონ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება საგაზაფხულო თესვის კამპანიის პერიოდში მინდვრის თავგებთან ბრძოლისათვის საჭირო სამომზადებლო მუშაობის მსვლელობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ილიუშინი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი ა. ბუკრევი.

1933 წ. დეკემბრის 26.

ტფილისი.

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 11. 1934 წელს კალიასა და მჭედელასთან ბრძოლის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. კალიასა და მჭედელასთან ბრძოლისათვის საჭირო ყველა სამუშაოსათვის ერთიანი ხელმძღვანელობის დასამყარებლად დანიშნულ იქნეს ა/კსფსრ-ში კალიასა და მჭედელასთან ბრძოლის საქმეთა რწმუნებულად ამხ. ბუნიათ-ზაძე, ხოლო მის მოადგილედ — ამხ. იაშვილი.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს — კალიასა და მჭედელასთან ბრძოლის სამუშაოების წარმატებით ჩატარებისათვის უზრუნველჰყონ ეს სამუშაოები, მობილიზაციის წესით, საჭირო მუშა-ძალით, საქაპანხიდვო ტრანსპორტით, ავტომანქანებით და მოტოციკლებით და დაავალონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს — მაქსიმალურად ხელი შეუწყონ, თავიანთი მხრით, კალიასა და მჭედელასთან ბრძოლის საქმეს.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს — უზრუნველჰყოს სურსათით, სპეცტანისამოსით და ფეხსაცმლით კალიასა და მჭედელასთან ბრძოლის საქმეში მომუშავენი, დამტკიცებული ნორმების თანახმად და მკვებლობით ბრძოლის შენაერთის რესპუბლიკანური ტრესტების განაცხადების მიხედვით; ამასთანავე, ყოველივე ეს გამოყოფილ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1934 წ. მარტის 1-სა.

4. წინადადება მიეცეს სსრკ-ის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში — დაამყაროს სატელეფონო, სატელეგრაფო და რადიო კავშირგაბმულობა ოპერატიული სამუშაოების წარმოების ადგილებში, რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან და მკვებლობით ბრძოლის შენაერთის ტრესტებთან შეთანხმებით, და აგრეთვე მოახდინოს განკარგულება საკალიო კორესპონდენციისა და დეპეშების რიგს გარეშე მიღების, გაგზავნის და მიტანის შესახებ.

5. წინადადება მიეცეს ა/კ. რკინის გზების სამმართველოს — მოახდინოს განკარგულება ხაზისადმი რიგს გარეშე ვაგონების მიცემისა და საკალიო ტვირთის გადაზიდვისა და ტექნიკური პერსონალის გადაყვანის შესახებ.

6. 1934 წელს კალიასა და მჭედელასთან ბრძოლისათვის საჭირო სამუშაოების მოცულობა განისაზღვროს ორიენტირულად შემდეგი რაოდენობით: მაროკოს კალიასთან — 25.000 ჰექტარზე; აქედან: აზერბაიჯანის სსრ-ში — 15.000 ჰექტ. და მომიჯნავე რაიონებში — 5.000 ჰექტ.; საქართველოს სსრ-ში — 5.000 ჰექტ.; პრუსსა და მჭედელასთან — 90.000 ჰექტ.; აქედან: აზერბაიჯანის სსრ-ში — 42.000 ჰექტ., სომხეთის სსრ-ში — 12.000 ჰექტ. და საქართველოს სსრ-ში 36.000 ჰექტ.

7. აღნიშნული ფართობებიდან დამუშავებულ იქნეს მიწისპირული მისატყუებელი მეთოდით — 100.000 ჰექტ. და სააკვიაციო მეთოდით — 15.000 ჰექტ.;

აქედან: აზერბაიჯანის სსრ-ში—10.000 ჰექტ. და საქართველოს სსრ-ში—5.000 ჰექტარი.

8. შხამებისა და მისატყუებელი მასალის აღრიცხვის დროს გათვალისწინებულ აქნეს სარეზერვო ფონდი კალიის დაბუდების მთელი ფართობის 25%-ის რაოდენობით.

9. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გააზუსტონ და საბოლოოდ განსაზღვრონ კალიასა და მჭედელასთან ბრძოლისათვის საჭირო სამუშაოების მოცულობა ზემოდ განსაზღვრული ორიენტირული ფართობების მიხედვით, და წარმოუდგინონ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ერთი თვის ვადაზე, ა/კსფსრ ნიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მეშვეობით, აღნიშნულ მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა ისეთი ვარაუდით, რომ მუშაობა დაწყებულ იქნეს 1934 წ. მარტის 1-ს და დამთავრდეს ივლისის 1-ს.

10. დაევალოს ა/კ. სასოფლო-სამეურნეო ავიაციის სამმართველოს—იხმაროს ღონისძიება, რათა ავიომეთოდით დასამუშავებელი ფართობები უზრუნველყოფილ იქნეს თავის დროზე საჭირო რაოდენობის თვითმფრინავებით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ილიუშინი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. ბუკრევი.

1933 წ. დეკემბრის 26.  
ტფილისი.

### დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**12.** 1934 წელს საბჭოთა მეურნეობების მიერ რძისა და რძის პროდუქტების ჩაბარების გეგმის შესახებ.

სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ნოემბრის 23-ის თარიღის და 2545 №-ის დადგენილებისა და სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის 1933 წ. ნოემბრის 10-ის თარიღისა და 2268 №-ის დადგენილების შესაბამისად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. ა/კსფსრ საბჭოთა მეურნეობების მიერ 1934 წელს რძისა და რძის პროდუქტების ჩაბარების გეგმა განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით (ტონ-ნობით):

	კარაქი	ყველი	მოუხდ. რძე
აზერბაიჯანის სსრ . . . . .	44,5	98,8	—
სომხეთის სსრ . . . . .	84,4	191,4	—
საქართველოს სსრ . . . . .	57,4	77,2	88,0
<b>ა/კსფსრ . . . . .</b>	<b>186,3</b>	<b>367,4</b>	<b>88,0</b>

2. ა/კსფსრ საბჭოთა მეურნეობების მიერ რძისა და რძის პროდუქტების ჩაბარების დადგენილი გეგმა დანაწილებულ იქნეს საბჭოთა მეურნეობებისა და დამამზდებლების სისტემების მიხედვით შემდეგნაირად:

რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ე ბ ი	კარაქი		ყველი		მოუხდელი რძე	
	კარაქ-ბრუნველ.	სამომხ. კოლაბერ.	კარაქ-ბრუნველ.	სამომხ. კოლაბერ.	კარაქ-ბრუნველ.	სამომხ. კოლაბერ.
<b>აზერბაიჯანის სსრ</b>						
1. „კარაქტრესტი“ . . . . .	44,5	—	98,8	—	—	—
სულ აზ. სსრ . . . . .	44,5	—	98,8	—	—	—
<b>სომხეთის სსრ</b>						
1. „კარაქტრესტი“ . . . . .	70,3	—	191,4	—	—	—
2. „მთავშაქარის“ საბჭოთა მეურნეობები . . . . .	14,1	—	—	—	—	—
სულ სომხ. სსრ . . . . .	84,4	—	191,4	—	—	—
<b>საქართველოს სსრ</b>						
1. „კარაქტრესტი“ . . . . .	40,4	6,0	77,2	—	—	—
2. საქ. სსრ მიწათმოქმ. სახ. კ-ტისა და სამხ-რეთ ოსეთის საბჭ. მეურნ. ტრესტები . . . . .	11,0	—	—	—	—	88,0
სულ საქ. სსრ . . . . .	51,4	6,0	77,2	—	—	88,0
<b>ა/კსფსრ</b>						
1. „კარაქტრესტები“ . . . . .	161,2	—	367,4	—	—	—
2. მიწათმოქმ. სახალხო კომისარიატების საბჭ. მეურნეობების ტრესტები . . . . .	5,0	6,0	—	—	—	88,0
3. „მთავშაქარის“ საბჭოთა მეურნეობები . . . . .	14,1	—	—	—	—	—
სულ ა/კსფსრ . . . . .	180,3	6,0	367,4	—	—	88,0

3. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გაა-ნაწილონ ამა დადგენილებით განსაზღვრული გეგმა რძისა და რძის პროდუქტების ჩაბარებისა თვითეულ საბჭოთა მეურნეობაზე ცალ-ცალკე და კვარტალებზე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ილიუშინი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ბუკრევი.**

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 13. ა/კსფსრ-ში 1934 წელს ხელშეკრულებების დადების შესახებ.

გვემინი დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და ხელშეკრულებების აღსრულებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ა/კსფსრ ყველა სამეურნეო ორგანოს—დაუყოვნებლივ გაშალოს მუშაობა 1934 წლისთვის გენერალური, ლოკალური და პირდაპირი ხელშეკრულებების დასადებად იმ ვადებისა, წესებისა და პირობების დაცვით, რაც გათვალისწინებულია სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. დეკემბრის 19-ის დადგენილებით „1934 წელს ხელშეკრულებების დადების შესახებ“ (სსრკ ცენ. აღმ. კომ. „იზვესტია“, № 311).

2. კატეგორიულად აკრძალულია ცალმხრივი უარისთქმა ხელშეკრულების აღსრულებაზე და მისი პირობების ცალმხრივი შეცვლა.

განსაკუთრებულ შემთხვევაში ხელშეკრულებას მიშლა და შეცვლა შეიძლება:

ა) უწყების ან კოოპერატიული ცენტრის ხელმძღვანელის განკარგულებით, უკეთუ ხელშეკრულება მის ქვემდებარე ორგანოებს შორის არის დადებული;

ბ) შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, უკეთუ ხელშეკრულება დადებულია სხვადასხვა უწყების ორგანოებს შორის; ამასთანავე, თუნდაც ერთ-ერთი მხარე საერთო-საკავშირო მნიშვნელობის მქონე საწარმო ან ორგანიზაცია იყოს;

გ) ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილებით, უკეთუ ხელშეკრულება დადებულია სხვადასხვა უწყების საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის (არასაერთო-საკავშირო მნიშვნელობისა); ამასთანავე, თუნდაც ერთ-ერთი მხარე ფედერატიული მნიშვნელობის მქონე საწარმო ან ორგანიზაცია იყოს;

დ) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესისამებრ, უკეთუ ორივე მხარე რესპუბლიკანური ან ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე დაწესებულება ან საწარმო.

**შენიშვნა.** ხელშეკრულების ყოველგვარი ცვლილება მხარემ, რომელმაც შეიტყო ამის შესახები დადგენილება მთავრობისა თუ უწყებისა, უნდა უქვევლად აცნობოს მეორე მხარეს დაუყოვნებლივ, ასეთი დადგენილების მიღებისათანავე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ილიუშინი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ბუკრევი.**

1933 წ. დეკემბრის 29.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას“ 1-ლ №-ში 1934 წ. იანვრის 1-ს.



## დადგენილება ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 14. სარაიონო ზოოტექნიკური პუნქტების მოწყობის შესახებ.

ა/კფსრ სოციალისტური მეცხოველეობისათვის, რომელიც თანდათან იზრდება, მომსახურების გაწევისა და საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებზე, კოლექტიურ მეურნეობებზე, კოლმეურნეობებზე და მშრომელ ინდივიდუალურ მეურნეობებზე ზოოტექნიკური დახმარების დაახლოების მიზნით — ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო, სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის 1933 წ. მარტის —ის დადგენილების შესაბამისად და „კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობებისათვის აგრო-საწარმოო მომსახურების გაწევის შესახებ“ გამოცემული ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. მარტის 17-ის დადგენილების მე-4 მუხლის „გ“ ლიტერას შესაცვლელად (ა/კფსრ კანკრ. 1933 წ. მე-10-11 №-ი, მუხ. 96), — ადგენს:

1. საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებისა, კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეობებისა და მშრომელი ინდივიდუალური მეურნეობებისათვის ზოოტექნიკური მომსახურების გაწევა დაეკისროს ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და სარაიონო საადგილმამულო განყოფილებებს.

2. საკოლმეურნეო საჯიშო და სასაქონლო ფერმებისათვის უშუალო ხელმძღვანელობის გაწევისა და კოლექტიურ მეურნეობებზე, კოლმეურნეთა მეურნეობებზე და მშრომელ ინდივიდუალურ მეურნეობებზე ზოოტექნიკური დახმარების რაც შეიძლება უფრო მეტად დაახლოების მიზნით — სარაიონო საადგილმამულო განყოფილებებთან მოწყობილ იქნეს ზოოტექნიკური პუნქტები (სარაიონო და ქვესარაიონო).

3. ზოოპუნქტების მოწყობა პირველყოვლისა გათვალისწინებულ იქნეს საჯიშო მუშაობისა და განვითარებული მეცხოველეობის მქონე რაიონებში და აგრეთვე იმ რაიონებში, სადაც უფრო მეტი საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებია.

4. 1934 წელს ა/კფსრ-ში მოწყობილ იქნეს 130 ზოოპუნქტი; აქედან: აზერბაიჯანის სსრ-ში — 52, სომხეთის სსრ-ში — 26 და საქართველოს სსრ-ში — 52 პუნქტი.

5. წინადადება მიეცეს ა/კფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს — გაითვალისწინონ 1934 წლის ბიუჯეტში სათანადო სახსარი ზოოტექნიკური პუნქტების მოწყობისა და შენახვისათვის.

ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეგოვი.

ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ა. ბუკრევი.

1934 წ. იანვრის 9. ტფილისი.

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 15. სავეტერინარო საქმის მოწყობის შესახებ.

სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ნოემბრის 2-ის თარიღისა და 2406 №-ის დადგენილების განსავითარებლად (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 65 №-ი, მუხ. 391) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

I. დაეკისროს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს (სავეტერინარო სამმართველოს ხაზით) სავეტერინარო ღონისძიებათა დაგეგმვა და მოწესრიგება, სავეტერინარო-სასანიტარო ღონისძიებათა განხორციელებისათვის კონტროლის გაწევა, სავეტერინარო სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა, სავეტერინარო მომარაგების საგნების წარმოება და განაწილება, სავეტერინარო აღრიცხვა და სტატისტიკა, სავეტერინარო კადრების მომზადება, აღრიცხვა და განაწილება და სავეტერინარო ღონისძიებათათვის ხელმძღვანელობის გაწევა.

II. დაევალოს ყველა იმ უწყებას, ორგანიზაციას და დაწესებულებას, რომელსაც ჰყავს მუშა-საქონელი და პროდუქტიული საქონელი, აგრეთვე რომელიც აწარმოებს ცხოველთა ტრანსპორტირებას, მეცხოველეობის პროდუქტებისა და სამეცხოველეო ნედლეულის გადამუშავებასა და შენახვას, შეასრულოს ხოლმე ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დირექტივები სავეტერინარო საქმის მოწყობისა და ხელმძღვანელობის ხაზით.

III. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

1. აღადგინონ და განამტკიცონ ერთი თვის ვადაზე საადგილმამულო ორგანოების სისტემაში სახელმწიფო სავეტერინარო საუბნო ქსელი 172 სამკურნალო უბნისა და 70 საფერშლო პუნქტის რაოდენობით და შემდეგი დანაწილებით რესპუბლიკებზე:

აზერბაიჯანის სსრ . . . . .	65	სამკურნალო უბანი	და	27	საფერშლო პუნქტი
სომხეთის სსრ . . . . .	31	"	"	18	"
საქართველოს სსრ . . . . .	76	"	"	25	"

უზრუნველჰყონ სავეტერინარო უბნების გაშლა სავეტერინარო კადრებით, გაწყობილობით, ინსტრუმენტებით და მედიკამენტებით.

2. შემოიღონ 1934 წელს სარაიონო საადგილმამულო განყოფილებებში სავეტერინარო ინსპექტორების თანამდებობინი—სავეტერინარო-სასანიტარო-პროფილაქტიკურ მოთხოვნათა აღსრულებისათვის და სავეტერინარო პერსონალის მუშაობისათვის კონტროლისა და მეთვალყურეობის გაწევის მიზნით.

3. დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს — მოაწყონ 1934 წლის I კვარტალში კურსები სავეტერინარო ინსტრუქტორების მოსამზადებლად—ისეთი ვარაუდით, რომ თვითეულ რაიონში იყოს სავეტერინარო ინსტრუქტორი.



4. დაავალონ რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს— გამოჰყონ 1934 წელს საქირო სახსარი თვითეულ რაიონში სავეტერინარო ინსპექტორის შესანახად და ამ ინსპექტორების მოსამზადებელი კურსების მოსაწყობად და ჩასატარებლად.

5. დაავალონ რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, რესპუბლიკანურ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოებთან ერთად, ერთი თვის ვადაზე:

ა) აღრიცხონ სავეტერინარო კადრები;

ბ) გამოარკვიონ ის სავეტერინარო პერსონალი, რომელიც არა თავის სპეციალობაზე მუშაობს, დი წარმართონ იგი სავეტერინარო სამუშაოზე;

გ) შეამოწმონ ქალაქებში მყოფი სავეტერინარო კადრები და მთლად ზედმეტი სავეტერინარო პერსონალი, რაც აღემატება საწარმოთა მომსახურებობისათვის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილ მტკიცე შტატებს, წარმართონ პერიფერიებზე სავეტერინარო მუშაობის განსამტკიცებლად.

IV. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს— განიხილოს და დაამტკიცოს ორი დეკადის ვადაზე საადგილმამულო ორგანოებისა და სხვა უწყებების სავეტერინარო აპარატის სტრუქტურა და შტატები ამა დადგენილებით მათთვის დაკისრებული ამოცანების მიხედვით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსახეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი ა. ბუკრევი.

1934 წ. იანვრის 9.

ტფილისი.

### დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**16.** ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრის მუშაობის შესახებ.

მოისმინა—რა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მყოფი მთავარი არბიტრის აშხ. ჩხენკელი ს მოხსენება, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსადგენს:

1. აღინიშნოს, რომ მიუხედავად თვალსაჩინო მუშაობის წარმოებისა სამეგრეო ორგანოებს შორის აღძრულ ქონებრივ და სახელშეკრულებო დავათა განხილვის სფეროში, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა სა-

ხელმწიფო არბიტრაჟმა შემოიზღოდა წრე თავისი საქმიანობისა, ამ დავათა განხილვით და არ განაზოგადა თავისი პრაქტიკა, რომ იგი სიგნალს არ აძლევდა მთავრობას სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ—მაშინ, როდესაც ეს სიგნალიზაცია ერთ-ერთი, უაღრესი მნიშვნელობის მქონე ამოცანაა სახელმწიფო არბიტრაჟისა, არა ჰმეთაურობდა ფედერაციის სახელმწიფო არბიტრაჟების, სისტემას და ხელმძღვანელობას არ უწევდა ამ სისტემას.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს:

ა) ა/კსფსრ სახელმწიფო არბიტრაჟების მთელი სისტემის ერთიანი პრაქტიკის განხორციელებისა და პრინციპიალური საკითხების განპკობისათვის მოიწვიოს ხოლმე ყოველ კვარტალში სახელმწიფო არბიტრების პლენუმები;

ბ) გამოსატან გადაწყვეტილებათა ხარისხის ამაღლების მიზნით დააწესოს, რათა სახელმწიფო არბიტრაჟის აპპარატმა წინასწარ დაამუშაოს განსახილველი საქმეები;

გ) პერიოდულად, კვარტალში ერთხელ მაინც, მოახდინოს საარბიტრაჟო პრაქტიკის მასალის განზოგადება, სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მუშაობის დახასიათებით—დამტკიცებული გეგმების აღსრულებისა, სახელმწიფო უფლებო დისციპლინის დაცვისა და სამეურნეო ანგარიშის განხორციელების სფეროში, და აძლიოს მთავრობას სიგნალი ყველა ნაკლოვანების შესახებ;

დ) უზრუნველჰყოს ხელმძღვანელობის გაწვევა ფედერაციის სახელმწიფო არბიტრაჟების მთელი სისტემისათვის და აწარმოოს მათი საქმიანობის გამოკვლევა წელიწადში ერთხელ მაინც;

ე) დააწესოს მტკიცე ვადები სახელმწიფო არბიტრაჟში საქმეთა მსვლელობისათვის და იხმაროს ღონისძიება, რომ ეს ვადები მაქსიმალურად შემოკლებულ იქნეს.

3. საქმეთა განხილვის დროს მხარეთა სამეურნეო ურთიერთობის გამოაშკარავების მიზნით—დაევალოს სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთ, სახელმწიფო არბიტრაჟში ქონებრივ დავათა განხილვის დროს, პირადად გამოცხადდნენ ხოლმე სახელმწიფო არბიტრაჟის სხდომაზე ან წარგზავნონ მოადგილენი თუ თანაშემწენი.

უფლება მიეცეს მთავარ არბიტრს—დაადვას ხოლმე პერსონალური ჯარიმა სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთ ამა დადგენილების შეუსრულებლობისათვის.

4. დაწესებულ იქნეს 1934 წლისთვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის შტატი 8 კაცის შედგენილობით; მათ შორის მთავარი არბიტრი—1 და სახელმწიფო არბიტრი—1.

5. დაწესებულ იქნეს, რომ სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებაზე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში შეტანილი საჩივარი განხილულ უნდა იქნეს ერთი დეკადის ვადაზე.

6. მთავარი არბიტრის მოხსენება სახელმწიფო არბიტრაჟის მოქმედების შესახებ მოსმენილ იქნეს ხოლმე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა თათბირზე კვარტალში ერთხელ მაინც.

7. აღინიშნოს, რომ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები საქმარის ყურადღებას არ აქცევენ რესპუბლიკანური სახელმწიფო არბიტრაჟების მუშაობას და წინადადება მიეცეს მათ — მტკიცედ მოჰკიდონ ხელი ამ საკითხს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. ბუკრევი.

1934 წ. იანვრის 9.  
ტფილისი.

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 17. ა/კსფსრ-ში საქამადო მრეწველობის საწარმოთა სანიტარული მდგომარეობის შესახებ.

საქამადო მრეწველობის საწარმოთა ჩატარებულმა მასსურმა შემოწმებამ გამოაშკარავა ამ საწარმოთა უდიდესი ნაწილის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების მეტისმეტად არაღამაკმაყოფილებელი მდგომარეობა (ბაქოს ხორცკომბინატი, გორის საკონსერვო ფაბრიკა, ერივანის ხორცკომბინატი, ბაქოს მაცივარი და სხვ), რაც იმის შედეგია, რომ მათ ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარისტი და რესპუბლიკების მომარაგების სახალხო კომისარიატები ხელმძღვანელობას არ უწევენ და სათანადო ყურადღებას არ აქცევენ, აგრეთვე იმისა, რომ ხუხტად არის დაყენებული ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაობა საქამადო მრეწველობაში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად ანხ. მამიკონიანის განცხადება, რომ მომარაგების სახალხო კომისარიატის ხაზით მიეცა საწარმოთ მითითებანი შემოწმების დროს გამორკვეულ ნაკლოვანებათა თავიდან აცილების შესახებ და რომ ანტისანიტარულ მდგომარეობაში მყოფ საწარმოთა დირექტორებს დაეძღათ სათანადო გადასახდელი; რომ, აგრეთვე, დახურულ იქნა ცალკეული საწარმონი (ერივანის საკოლბასო ქარხანა, საბუნჩის სასაქალო) მათი მდგომარეობის გამოსწორებამდე.

2. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს:



ა) იხმარონ ღონისძიებანი, რომ საქამადო მრეწველობის ყველა საწარმოში დაცულ იქნეს სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმი, კერძოდ—რომ მუშებმა დაცვან პირადი ჰიგიენის წესები;

ბ) გაშალონ მუშათა შორის საქამადო წარმოების ჰიგიენისა და სანიტარიის საფუძვლების პროპაგანდა—წრეების მოწყობით, სათვალსაჩინო დამხმარე საშუალებათა გავრცელებით, სამაგალითო საჩვენებელი ცეხის შექმნისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობით და სხვა მისთა;

გ) დაავალონ საქამადო მრეწველობის საწარმოთა ოსტატებს, ბრიგადირებს და სხვა ხელმძღვანელ ტექნიკურ პერსონალს—ჩააბარონ ა/წ. თებერვლის 15-თვის გამოცდა სასანიტარო-საჰიგიენო მინიმუმისათვის;

დ) უზრუნველჰყონ მასსური სასანიტარო-საგანმანათლებლო ლიტერატურის გამოცემა საქამადო საწარმოთა მუშებისათვის;

ე) უზრუნველჰყონ ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის სანიტარული სასამსახურო სანიტარ-ექიმების სათანადო კადრით და წარგზავნონ ამ სამუშაოზე გაძოცდილი და კვალიფიციური მომუშავენი;

ვ) შეამოწმონ ერთი თვის ვადაზე საწარმოებთან არსებული ქიმიკო-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიების მუშაობა და შეიმუშაონ ღონისძიებანი ამ ლაბორატორიების განმტკიცებისა, გაფართოებისა და სათანადო კადრებით უზრუნველყოფისათვის.

3. ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა, რესპუბლიკების მომარაგების სახალხო კომისარიატებთან ერთად, უნდა შეიმუშაოს მრეწველობის თვითეული დარგისათვის ინსტრუქცია და ღონისძიებათა ნუსხა საქამადო საწარმოთა აპარატურისა და ინვენტარის სამაგალითოდ, სათანადო მდგომარეობაში შენახვისა, არასაკონდიციო, და ტექნიკურ მოთხოვნათა შეუფერებელი ნედლეულის და ნახევარფაბრიკატების გადასამუშავებლად მიუღებლობისა და საწარმოთა მიერ მზაპროდუქციის გამოშვების წესის შესახებ.

4. უფლება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატთან და რესპუბლიკების მომარაგების სახალხო კომისარიატებთან არსებულ, სპეციალური სანიტარული სამსახურის სამმართველოებს—აღძრან ხოლმე დევნა, სისხლის სამართლის წესით, დადგენილი სასანიტარო-საჰიგიენო ნორმებისა და წესების დარღვევისათვის საქამადო მრეწველობისა და საკვები პროდუქტების ვაჭრობის სფეროში, დააღვან, ვისაც ჯერ არს, ჯარიმა და იხმარონ ადმინისტრატიული ხასიათის ღონისძიებანი, თვით საწარმოთა დახურვამდეც-კი.

5. წინადადება მიეცეს ფონდების კომიტეტის რწმუნებულს—გამოჰყოს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში 90.000 მეტრი თეთრი ნარმა სპექტანისამოსის დასამზადებლად.

6. ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა, ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან ერთად, უნდა ჩაატაროს ა/წ. იანვარში საქამადო მრეწველობის საწარმოთა სანიტარული მდგომარეობის მეორე შემოწმება.

7. ა/კსფსრ სახალხო კომისარიატსა და საბჭო აფრთხილებს ტრესტებისა და შენაერთების დირექტორებს და აგრეთვე საქამადო მრეწველობის დირექტორებს და მთლად საადმინისტრაციო-სატექნიკო პერსონალს, რომ, უკეთეს ისინი განაგრძონ

ბენ დანაშაულებრივ, უყურადღებო მოპყრობას სანიტარიის საკითხებისადმი, მათ მიმართ შეტარებულ იქნება შემდგომი უფრო მკაცრი ღონისძიებანი სასჯელისა.

8. ა/კსტსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უნდა დაამყაროს სისტემატური მეთვალყურეობა ამა დადგენილების აღსრულებისათვის.

ა/კსტსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ა/კსტსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. ბუკრევი.

1934 წ. იანვრის 9.  
ტფილისი.

### დადგენილება ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

#### 18. ხელშეკრულებათა დადების მხვლელობისათვის მეთვალყურეობის გაწევის შესახებ.

1. პერსონალური პასუხისმგებლობა „1934 წელს ხელშეკრულებათა დადების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. დეკემბრის 19-ის დადგენილებისა (სსრკ. კან. კრ. 1933 წ. 73 №-ი, მუხ. 445) და ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. დეკემბრის 29-ის დადგენილების განხორციელებისათვის დაეკისროს:

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსტსრ სკს-თან) ხაზით—ამხ. ა ლ ი ე ვ ს.

კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსტსრ სკს-თან) ხაზით—ამხ. გ ა ბ ე რ - კ ო რ ნ ს.

სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსტსრ სკს-თან) ხაზით—ამხ. ვ ა ს ი ლ ი ე ვ ს.

საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსტსრ სკს-თან) ხაზით—ამხ. ო თ ი ა ნ ს.

სავაზო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსტსრ სკს-თან) ხაზით—ამხ. ს ი ვ ო ლ ა პ ს.

ა/კსტსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის ხაზით—ამხ. ფ ა ნ ც ხ ა ვ ა ს.

ა/კსტსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით—ამხ. კ ვ ა ნ ტ ა ლ ი ა ნ ს.

ა/კსტსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ხაზით—ამხ. ბ უ ნ ი - ა თ - ზ ა დ ე ს.

ამიერკავკასიის რკინის გზების სამმართველოს ხაზით—ამხ. რ ო ზ ე ნ ც ვ ე ი გ ს.

ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით—ამხ. ე რ ი ს თ ა ვ ს.

დაევალოს სახალხო კომისარიატებს და „ა/კ. კავშირს“—წარუდგინონ

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ხუთდღიურობითი ანგარიშგება მათ ქვემდებარე სამეურნეო ორგანიზაციებში ხელშეკრულებათა დადების მსვლელობის შესახებ.

2. პასუხისმგებლობა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში ხელშეკრულებათა თავის დროზე და წესიერად დადებისათვის დაეკისროს სათანადო რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, რომელთაც დაევალოს:

ა) განახორციელონ მუდმივი მეთვალყურეობა ხელშეკრულებათა დადების მსვლელობისათვის;

ბ) წარუდგინონ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ხუთდღიურობითი ანგარიშგება ხელშეკრულებათა დადების მსვლელობის შესახებ რესპუბლიკანური ხაზით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსახეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. ბუკრევევი.

1934 წ. იანვრის 9.  
ტფილისი.

**დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოსი.**

**19. 1934 წელს ველურ სამკურნალო-სატიქნიკო მცენარეულთა ნედლეულის დამზადების კამპანიის მოწყობის შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ველურ სამკურნალო-სატიქნიკო მცენარეულთა ნედლეულით ექსპორტის უზრუნველსაყოფად და საკავშირო მრეწველობის მოსამარაგებლად დადგენილ იქნეს ა/კსფსრ-ში ამ ნედლეულის დამზადების შემდეგი წლიური გეგმა 1934 წლისთვის (ტონობით):

	აზ. სსრ	სომხ. სსრ	საქ. სსრ	ა/კსფსრ
კომში (თესლი) . . . . .	0,5	—	0,5	1,0
ბელადონა (ფოთოლი) . . . . .	—	—	6,0	6,0
ლენც ფა (ფოთოლი) . . . . .	—	—	1,0	1,0
ვალერიანიზ ფეკვა . . . . .	—	1,0	1,0	2,0
ლუმა (ფოთოლი) . . . . .	1,0	1,0	1,0	3,0
ჭერამის (გარგარის) კურკა . . . . .	15,0	35,0	—	50,0
დაფნის ფოთოლი . . . . .	—	—	550,0	550,0
გვირილა კავკასიური . . . . .	23,0	10,0	7,0	40,0



სალბია (ბოლქვი) . . . . .	—	—	1,0	1,0
ღვერძლა . . . . .	—	0,3	0,7	1,0
ფერაფერა (ფესვი) . . . . .	—	—	10,0	10,0
მოცვი (მხილი) . . . . .	—	—	50,0	50,0
ეკალიპტის ფოთოლი . . . . .	—	—	12,0	12,0
ენდრო (ფესვი) . . . . .	45,0	5,0	—	50,0
ზაფრანა . . . . .	0,46	—	—	0,46
ზამბახი (ყვავილი) . . . . .	—	—	2,0	2,0
მზეუჭვრიტა (ყვავილი) . . . . .	—	—	2,0	2,0

დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულებმა რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან, დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად, უნდა დაჰყონ ველურ სამკურნალო-სატექნიკო მცენარეულთა ნედლეულის დამზადების წლიური გეგმა კვარტალებსა და თვეებზე.

2. ველურ სამკურნალო-სატექნიკო მცენარეულთა ნედლეულის ძირითად დამზადებლად აღიარებულ იქნეს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემა ამ კოოპერაციის რესპუბლიკანური ცენტრების სახით („ცეკავშირი“—საქართველოში, „აფკავშირი“—აფხაზეთში, „აზერიტიჟაკი“—აზერბაიჯანში და „აიკო-ობი“—სომხეთში), რომელნიც ანხორციელებენ დამზადებას თავიანთი სათანადო სადარგო შენაერთებში და მათი ქვედა ორგანიზაციების მეშვეობით.

3. ველური სამკურნალო-სატექნიკო მცენარეულთა ნედლეულის მოგროვებისა და გახმობის შრომატევადობის მიხედვით, დაწესებულ იქნეს, ამ ნედლეულის უფრო მნიშვნელოვანი სახის მცენარეთა დამზადების სტიმულირების მიზნით, ველურ სამკურნალო-სატექნიკო მცენარეულთა ნედლეულის ჩამბარებლებისათვის პურისა და სამრეწველო საქონლის მიცემის (მტკიცე სახელმწიფო ფასად მიყიდვის) შემდეგი ნორმები (კილოგრამობით ტონნაზე:

კულტურების სახელწოდება	პური	საკონდ. ნაკეთობა	მცენ. ზეთი	ჩაი
ლენცოფა (ფოთოლი) . . . . .	—	100	—	—
ვალერიანის ფესვი . . . . .	200	50	—	—
ლემა (ფოთოლი) . . . . .	—	100	—	—
ენდრო (ფესვი) . . . . .	250	5	—	0,5
გვირილა კავკასიური . . . . .	200	100	—	—
ზაფრანა (კილოგრამზე) . . . . .	100	—	—	—
ღვერძლა . . . . .	1.000	200	—	—

4. დადგენილი ნორმების მიხედვით განისაზღვროს პურისა და სასურსათო საქონლის შემდეგი წლიური ფონდები ველურ სამკურნალო-სატექნიკო მცენარეულთა ნედლეულის ჩამბარებლებისათვის მისაცემად და ამ ფონდების კვარტალურად შემოზიდვა:

	წლიური მოთხოვნილება (ცენტნერობით)	ა ქ ე დ ა ნ			
		I კვარტ.	II კვარტ.	III კვარტ.	IV კვარტ.
პური . . . . .	680	130	—	300	250
საკონდიტრო ნაკეთობა . . . . .	49,5	0,25	—	29,0	20,25
მცენ. ზეთი . . . . .	—	—	—	—	—
ჩაი . . . . .	0,25	0,15	—	—	0,10

5. სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში და ამავე კომიტეტის რწმუნებულებმა რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან, ფონდების კომიტეტის რწმუნებულთან ა/კსფსრ-ში და რესპუბლიკანურ რწმუნებულებთან ერთად, უნდა უზრუნველჰყონ წინა მუხლში აღნიშნული სამრეწველო საქონლის ფონდების გამოყოფა.

6. დაწესებულ იქნეს შემდეგი სადამზადებლო ფასები—ფრანკო-დამზადების მიმღები პუნქტი—ისეთი საქონლისათვის, რაც თავისი თვისებით შეეფერება საბაზისო კონდიციებს:

კულტურების სახელწოდება.

სადამზადებლო ფასი მანეთობით კილოგრამზე.

კომში (თესლი) . . . . .	12
ბელლადონა (ფოთოლი) . . . . .	2
ლენცოფა (ფოთოლი) . . . . .	1—50
ვალერიანის ფესვი . . . . .	3
ლუმა (ფოთოლი) . . . . .	1—25.

ჭერამის (გარგარის) კურკა . . . . .	საკონვენციო
დაფნის ფოთოლი . . . . .	"
გვირილა კავკასიური . . . . .	2
სალბია (ბოლქვი) . . . . .	6
ღვერძლა . . . . .	4—50
ფერაფერა (ფესვი) . . . . .	0,25
მოცვი (მხილი) . . . . .	საკონვენციო
ეკალიპტის ფოთოლი . . . . .	0,75
ენდრო (ფესვი) . . . . .	2—10
ზაფრანა . . . . .	180

სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) არსებულმა ამიერკავკასიის საკონვენციო ბიურომ, დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულთან (საქართველო სსრ-ში) არსებულ საკონვენციო ბიუროსთან და სათანადო დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად, უნდა დაიმუშაოს ერთი დეკადის ვადაზე და წარუდგინოს

სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში დასამტკიცებლად დაფნის ფოთლისა, მოცვისა (მხილი) და ჭერმის (გარგარის) კურკების საკონვენციო სადამზადებლო ფასები.

7. ამა დადგენილებით განსაზღვრული, ველურ სამკურნალო-სატექნიკო მცენარეულთა ნედლეულის დამზადების გეგმის წარმატებით შესრულებისათვის დაევალოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემას („ცეკავშირს“ —საქართველოში, „აფკავშირს“ —აფხაზეთში, „აზერიტტიფაკს“ აზერბაიჯანში და „აიკოოპს“ სომხეთში):

ა) უზრუნველჰყოს, რათა მისი სპეციალური საინსტრუქტორო აპარატი, რაციონალურად გამოყენებულ იქნეს სამკურნალო-სატექნიკო ნედლეულის დამზადების ხაზით და არ წარმართოს იგი სხვაგვარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებაზე;

ბ) გამოიყენოს ადგილობრივი პრესსა და რადიო ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩასატარებლად მოსახლეობის მიერ ველურ სამკურნალო-სატექნიკო მცენარეულთა ნედლეულის მოგროვებისა და ჩაბარების საკითხის ირგვლივ;

გ) იხმაროს ღონისძიებანი მოსახლეობის მიერ ჩასაბარებელი ველურ სამკურნალო-სატექნიკო მცენარეულთა ნედლეულის თვისების გაუმჯობესებისათვის;

დ) აწარმოოს სამკურნალო-სატექნიკო ნედლეულის დამზადების თვიური გეგმის აღსრულების აღრიცხვა და შემოიღოს სამომხმარებლო კოოპერაციის სარაიონო კავშირებისა და ცალკეული მომუშავეების დაპრემიება დამზადების რიცხვობითი და თვისებითი მაჩვენებლებისათვის;

ე) უზრუნველჰყოს ველურ-სამკურნალო მცენარეულთა ნედლეულის დამზადების მსვლელობის შესახები ანგარიშგების თავის დროზე მიღება სამომხმარებლო კოოპერაციის სარაიონო კავშირებისაგან და ამ ანგარიშგების წარდგენა ყოველთვიურად სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულისათვის ა/კსფსრ-ში და იმავე კომიტეტის რესპუბლიკანური რწმუნებულებისათვის.

8. „ა/კ. სახვაჭრობისათვის“ ველურ სამკურნალო-სატექნიკო მცენარეულთა საექსპორტო ნედლეულის ჩაბარება ლიკვიდური სახით, ექსპორტის გეგმის ფარგლებში, უნდა აწარმოოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემამ ლოკალური ხელშეკრულებების მიხედვით, რასაც „ა/კ. სახვაჭრობა“ დასდებს სამომხმარებლო კოოპერაციის რესპუბლიკანურ ცენტრებთან („ცეკავშირი“ —საქართველოში, „აფკავშირი“ —აფხაზეთში, „აზერიტტიფაკი“ —აზერბაიჯანში და „აიკოოპს“ —სომხეთში), „ცენტროპლოდოვოვშიის“ მიერ „ლეკტესსიროს“ სრულიად საკავშირო შენაერთთან მოსკოვში დადებული გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე.

9. კავშირის მრეწველობის მომარაგება ველურ სამკურნალო-სატექნიკო მცენარეულთა ნედლეულით დაეკისროს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემას „ცენტროპლოდოვოვშიის“ განწყისებით.

10. დაევალოს „ა/კ. სახვაჭრობას“ —გაუწიოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემას ყოველმხრივი დახმარება ველურ სამკურნალო-სატექნიკო მცენარე-

ულთა ნედლეულის დამზადების მოწყობისა და ამა დადგენილებით განსაზღვრული გეგმის აღსრულება საქმეში.

11. სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში და ამავე კომიტეტის რესპუბლიკანურმა რწმუნებულებმა თვალყური უნდა ადევნონ ველურ სამკურნალო-სატექნიკო მცენარეულთა ნედლეულის დამზადების მსვლელობას.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ბუკრევეი.**

1934 წ. იანვრის 9.

ტფილისი

---

**დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოსი.**

**20.** „1934 წელს სახელმწიფოსათვის რძისა, კარაქისა და ყველის სავალდებულო ჩაბარების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1933 წ. დეკემბრის 28 ის დადგენილების შეცვლის შესახებ.

სსრკ-ის მომარაგების სახალხო კომისარიატის 510 №-ის დადგენილების შესაბამისად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„1934 წელს სახელმწიფოსათვის რძისა, კარაქისა და ყველის სავალდებულო ჩაბარების შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1933 წ. დეკემბრის 28-ის დადგენილების 1-ლი მუხლის ნაწილობრივ შეცვლის მიზნით („ზარია ვოსტოკას“ 299 №-ი 1933 წ. დეკემბრის 29-სა) აღბაბის რაიონი (სომხეთში) მიკუთვნებულ იქნეს მე-2 ჯგუფისათვის, ხოლო იჯევანისა და ალავერდის რაიონები—მე-3 ჯგუფისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ბუკრევეი.**

1934 წ. იანვრის 10.

ტფილისი.

---

**დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის  
საბჭოსი.**

**21. აზერბაიჯანში თესლთბრუნვის სამუშაოების გასაძლიერებლად მიწათმოქმედობის მობილიზაციის შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის საბჭო ადგენს:

1. აზერბაიჯანში თესლთბრუნვის სამუშაოების გასაძლიერებლად მობილიზებულ იქნენ, აზერბაიჯანში გასაგზავნად (ორიენტირულად ორი თვით) აღნიშნული სამუშაოების დამთავრებამდე, შემდეგი მიწათმოქმედობნი:

1. ერვანდ გუკასოვი (ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი)
2. ოქრო ლაცაბიძე (საქართ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი)
3. ვახტანგ ბენიაშვილი " " " " "
4. სერგო კვიციანიძე " " " " "
5. ვიქტორ ბალაბუევი არ იმყოფება სამუშაოზე)
6. ივანე ერგარტი " " " " "
7. სურენ ოვანესიანი " " " " "
8. ივან გრიგორიევი " " " " "

2. აღნიშნული სპეციალისტები მოვალენი არიან, 24 საათის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, გამოცხადდნენ ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კადრების სექტორის განკარგულებაში სამუშაოზე გასაგზავნად.

3. ის დაწესებულებანი და მეურნეობანი, სადაც მუშაობენ ამა დადგენილების 1-ლ მუხლში ჩამოთვლილი სპეციალისტები, მოვალენი არიან გაანთავისუფლონ ისინი დაუყოვნებლივ მუშაობისაგან და წარმართონ ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში.

4. მობილიზებულ სპეციალისტებს შეენარჩუნოს მუდმივი სამუშაო ადგილი და შრომის საშუალო საშოვარი მობილიზაციის მთელი ხნის განმავლობაში.

5. მობილიზებულ მომუშავეების რაიონებში წარგზავნის ხარჯები და ეკისროს იმ დაწესებულებებსა და მეურნეობებს, სადაც გამოყენებულ იქნებიან მობილიზებული სპეციალისტები.

6. ამა დადგენილების დარღვევაში დამნაშავე პირნი მიიცემიან კანონით დადგენილ პასუხისგებაში.

ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის

საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუხაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის

საბჭოს საქმეთა მმარ თველი **ა. ბუკრევი.**

### დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

#### 22. ა/კსფსრ-ში 1933 წლის მოსავლის სელის თესლის დამზადების გეგმის შესახებ.

„ა/კსფსრ-ში 1934 წლის მოსავლის სელის თესლის დამზადების გეგმის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის სექტემბრის 1-ის დადგენილების 1-ლი მუხლის შეცვლის მიზნით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. ა/კსფსრ-ში 1933 წლის მოსავლის სელის თესლის დამზადების გეგმა დამტკიცებულ იქნეს 350 ტონას რაოდენობით; აქედან:

აზერბაიჯანის სსრ-ში . . . . .	110 ტონა
სომხეთის სსრ-ში . . . . .	200 ”
საქართველოს სსრ-ში . . . . .	40 ”

ა/კსფსრ-ში . . . . . 350 ტონა

2. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ ყველა რესპუბლიკაში სელის თესლის დამზადების გეგმის აღსრულების ზღვრულ ვადად განისაზღვროს 1934 წ. თებერვლის 15.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ხ. ჯუღელი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ბუკრევი.**

1934 წ. იანვრის 13.  
თბილისი.

### დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

#### 23. 1934 წლისთვის მასსური კვალიფიკაციის სასოფლო-სამეურნეო კადრების შესახებ.

ა/კსფსრ-ში მასსური კვალიფიკაციის კადრების მომზადებისა და გარდამზადების გეგმა განისაზღვროს 29. 162 კაცი; აქედან: სკოლების მეშვეობით—10.483 კაცი, კურსების მეშვეობით—18.679 კაცი—ერთ თვეზე მეტი სწავლების ვადით.

I. სარაიონო საადგილმამულო განყოფილებათა ხაზით—14.920 კაცი; აქედან:

აზერბაიჯანის სსრ-ში—6.680; მათ შორის: სკოლების მეშვეობით—3.940 კაცი, კურსების მეშვეობით—2.740 კაცი; აქედან მომზადება—200 კაცისა; გარდამზადება—2.540 კაცისა (მემინდვრობის ბრიგადირები—1.540 კაცი და მოანგარიშები—1.000 კაცი);

სომხეთის სსრ-ში—3.430 კაცი; მათ შორის: სკოლების მეშვეობით—1.570 კაცი, კურსების მეშვეობით—1.860 კაცი; აქედან: მომზადება—650 კაცისა და გარდამზადება—1.210 კაცისა (მემინდვრობის ბრიგადირები—560 კაცი და მოანგარიშები—650 კაცი);

საქართველოს სსრ-ში—4.810 კაცი; მათ შორის: სკოლების მეშვეობით—2.640 კაცი, კურსების მეშვეობით—2.170 კაცი; აქედან მომზადება—270 კაცისა, გარდამზადება 1.900 კაცისა (მემინდვრობის ბრიგადირები—900 კაცი და მოანგარიშები—1.000 კაცი).

II. ტრაქტორცენტრის ხაზით—10.066 კაცი; მათ შორის: ტრაქტორისტები—3.458 კაცი, სატრაქტორო ბრიგადირები—800 კაცი, საუბნე მექანიკოსები—235 კაცი და მემინდვრობის ბრიგადების ბრიგადირები—3.500 კაცი—შემდეგი განაწილებით რესპუბლიკებზე:

აზერბაიჯანის სსრ—5.059; სკოლების მეშვეობით—1.088, კურსების მეშვეობით—3.971; აქედან: მომზადება—1.771 კაცისა და გარდამზადება—2.200 კაცისა; მათ შორის მემინდვრობის ბრიგადირების გარდამზადება—1.600 კაცისა და ტრაქტორისტების—600 კაცისა.

სომხეთის სსრ—1.680 კაცი; სკოლების მეშვეობით—430 კაცი, კურსების მეშვეობით—1.250 კაცი; აქედან: მომზადება—710 კაცისა, მათ შორის მემინდვრობის ბრიგადირების გარდამზადება—340 კაცისა და ტრაქტორისტების—200 კაცისა.

საქართველოს სსრ—3.337 კაცი; სკოლების მეშვეობით—815 კაცი, კურსების მეშვეობით—2.522 კაცი; აქედან: მომზადება—822 კაცისა, გარდამზადება—1.700 კაცისა; მათ შორის მემინდვრობის ბრიგადირების გარდამზადება—1.560 და ტრაქტორისტების—140 კაცისა.

III. საბჭოთა მეურნეობების შენაერთების ხაზით—4.176 კაცი (აზერბაიჯანის სსრ—2.699 კაცი, სომხეთის სსრ—330 კაცი და საქართველოს სსრ—1.147 კაცი).

IV. მასშური კვალიფიკაციის კადრების გრძელვადიან მომზადებასთან ერთად დაწესდეს 38.000 კაცის მომზადება და გარდამზადება—[აზერბაიჯანის სსრ—19.200 კაცი, სომხეთის სსრ—4.500 კაცი და საქართველოს სსრ—14.300 კაცი (მათ შორის: მრწყველთა—5.000 კაცი (აზერბაიჯანის სსრ—4.200, სომხეთის სსრ—500 კაცი და საქართველოს სსრ—300 კაცი)] მოკლევადიანი კურსების მეშვეობით, სწავლების ვადით 3 დღიდან ერთ თვემდე; გარდამზადება ჩატარებულ იქნეს ტექპროპაგანდით (კურსები, კონფერენციები, აგროწრები და სხვა მისთ.).

მომზადების პროფილებისა და პერიოდის გაზუსტებას მოახდენენ რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები თვითნაირი რაიონის კონკრეტული პირობების მიხედვით.

V. საშუალო და უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების გარდამზადების გეგმა განისაზღვროს 901 კაცი; მათ შორის: უმაღლესი კვალიფიკაციისა— 255 კაცი (სამანქანო-პატრაქტორო სადგურები და სამეურნეო ორგანიზაციები) და საშუალო კვალიფიკაციისა—645 კაცი (სარაიონო საადგილმამულო განყოფილებები—401 კაცი და სამანქანო-სატრაქტორო სადგურები—245 კაცი).

VI. 1934 წელს მასსური კვალიფიკაციის კადრების მომზადებისა და გარდამზადების დაფინანსების გეგმა განისაზღვროს 5.510 ათასი მან. რაოდენობით; აქედან: სანელმწიფო ბიუჯეტით—2.101 ათასი მან., ადგილობრივი სარაიონო ბიუჯეტით—1.191 ათასი მან., კოლექტიური მეურნეობების სახსარი (შრომა-დღეების გარდა)—239 ათასი მან. და საქავშირო ბიუჯეტით (ტრაქტორისტთა სკოლების შესანახად)—1.979 ათასი მან.

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს— შეიტანოს რესპუბლიკების სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტში: აზერბაიჯანის სსრ—1.639.500 მანეთი, სომხეთის სსრ—605.000 მანეთი და საქართველოს სსრ—1.047.500 მან. და დაუყოვნებლივ შეუდგეს დაფინანსებას.

2. წინადადება მიეცეს ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო ორგანიზაციებს— უზრუნველჰქონ საკოლმეურნეო სახსართა გამოყოფა სარაიონო საადგილმამულო განყოფილებებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ კოლექტიურ მეურნეობებთან ხელშეკრულებების დადების საფუძველზე: აზერბაიჯანის სსრ-ში—110.000 მან., სომხეთის სსრ-ში—45.000 მან. და საქართველოს სსრ-ში—84.000 მან.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს— მოახერხონ ორი დღის ვადაზე, რომ „სოიუზხლოპკოტრაქტორცენტრმა“ გამოიკვეთს 1.979.000 მან. ტრაქტორისტების სკოლათა შესანახად.

VII. 1. მომზადებულ წრეებში და კურსებზე მეტადინფობის დაწყების ვადად დაინიშნოს ა/წ. იანვრის 15.

მემინდვრობის ბრიგადირების გარდამზადება, დამთავრებულ იქნეს მართის 1-თვის.

2. ძველი პასუხისმგებლობა მასსური კვალიფიკაციის სკოლებისა და კურსების თავის დროზე მოწყობისათვის დაეკისროს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოქმედების რაიონებში პასუხისმგებლობა მომზადების ჩატარებისა და ხარისხისათვის დაეკისროს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებათა უფროსებს და დირექტორებს, ხოლო სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოქმედების რაიონების გარეშე—სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს.

მემინდვრობის ბრიგადირების მომზად ბელი კურსებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა დაეკისროს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებათა უფროსებს, რომელთაც დაევალოს—ჩააბან კურსებზე უშუალო მუშაობაში პოლიტგანყოფილებათა ყველა მომუშავე და პირადად შეარჩიონ თავიანთი რაიონების სპეციალისტების შედგენილობიდან მასწავლებლები და გაან-



თავისუფლონ ისინი ყველა სხვა დატვირთვისაგან, ძირითადი სამუშაოს გარდა.

3. პასუხისმგებლობა მრწყველთა და წყალსარგებლობის გამგეთა მომხადების ჩატარებისათვის დაეკისროს: აზერბაიჯანის სსრ-ში—ტრაქტორცენტრის, ხოლო სომხეთის სსრ-სა და საქართველოს სსრ-ში—რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის სამმართველოებს.

4. მომხადებთ თავის დროზე გაშლისა და მოწყობის მიზნით წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ამხ. ბუნიათ-ზადეს პირადი პასუხისმგებლობით, წარმართოს რესპუბლიკებში 5 პასუხისმგებელი მომუშავე.

VIII. საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის სისტემის ხაზით მასსური კვალიფიკაციის კადრების მომზადებისა და გარდამზადების გეგმა განისაზღვროს—2.489 კაცი; აქედან: მომზადება—858 კაცისა—მათ შორის ტრაქტორისტების—533 კაცისა, ხოლო გარდამზადება—1.631 კაცისა; მათ შორის ტრაქტორისტების—150 კაცისა.

დაფინანსების ოდენობა განისაზღვროს 516.894 მანეთით.

პასუხისმგებლობა მომზადებისათვის დაეკისროს ამხ. ოთიანს.

დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულს—დაამყარონ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთვის ყოველთვიური ანგარიშგებისა და ინფორმაციის წარდგენა ჩატარებულ მოშაობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ბუკრევი.**

1934 წ. იანვრი 19.

ტფილისი.

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსნი.

**24. 1934 წელს სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს 1934 წელს ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობისათვის შემდეგი საშუალო—რესპუბლიკების ფარგლებში—ნორმები სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო, გადასახადის ძალის მქონე, ჩაბარებისა დადგენილ სახელმწიფო ფასად (გრამობით თითო სულ საქონელზე):

რესპუბლიკები	ცხვრის მქისე მატყლი			ცხვრ. ნახევრად მქისე მატყლი		ცხვ. წმინდა მატყლი.	აქლემის ბეწვი.	თხის მატყლი და ბეწვი.
	გაზაფხულისა	შემოდგომისა	ბატკნისა	გაზაფხულისა	ბატკნისა			
აზერბაიჯანის სსრ . . . . .	670	280	—	1.600	500	4.000	1.800	300
სომხეთის სსრ . . . . .	550	230	—	—	—	—	—	300
საქართველოს სსრ . . . . .	650	550	—	—	—	—	—	300

2. დაწესებულ იქნეს 1934 წელს იმ კოლექტიური მეურნეობების საკოლმეურნეო კომლებისათვის, რომელთაც აქვთ მეცხვარეობის სასაქონლო ფერმები, სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების ნორმები—20 პროცენტით და ყველა სხვა საკოლმეურნეო კომლისათვის 10 პროცენტით ნაკლები იმ ნორმებზე, რაც განსაზღვრულია ამა დადგენილების 1-ლი მუხლით ინდივიდუალური მეურნეობებისათვის.

3. დაწესებულ იქნეს მეცხვარეობის სასაქონლო ფერმებისა და კოლექტიური მეურნეობების განსაზოგადოებული ფარისათვის შემდეგი ნორმები სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო, გადასახადის ძალის მქონე, ჩაბარებისა პარსვის სეზონებისა და მატყლის სახის მიხედვით (გრამობით თითო სულზე):

რესპუბლიკები	ცხვრის მქისე მატყლი			ცხვრ. ნახევრად მქისე მატყლი		ცხვ. წმინდა მატყლი.	თხის მატყლი და ბეწვი.
	გაზაფხულისა	შემოდგომისა.	ბატკნისა.	გაზაფხულისა	ბატკნისა.		
აზერბაიჯანის სსრ . . . . .	1.000	500	250	1.700	550	4.850	430
სომხეთის სსრ . . . . .	900	500	250	—	550	—	430
საქართველოს სსრ . . . . .	1.000	550	250	—	—	—	430

წმინდა მატყლის ჩაბარების ნორმები დაწესებულია ქუჭყიანი მატყლისათვის (ორიგინალად)—ისე, რომ წმინდა მატყლი გამოვიდეს 31 პროცენტი. წმინდა მატყლის გამოსავლის პროცენტის გადიდების შემთხვევაში ქუჭყიანი მატყლის ჩაბარების ნორმა შესაბამისად შემცირდება, ხოლო წმინდა მატყლის გამოსავლის პროცენტის შემცირების შემთხვევაში ჩაბარების ნორმა გადიდდება.

4. როგორც საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებისა და კოლექტიური მეურნეობების განსაზოგადოებული ფარისა, ისე საკოლმეურნეო კომლებისა და ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობების მიერ ჩასაბარებელი გაზაფხულის და შემოდგომის მატყლის და აგრეთვე თხის მატყლისა და აქლემის ბეწვის რაოდენობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენი სული იყო (ცხვარი, თხა, აქლემი) 1934 წლის იანვრის 1-თვის; ხოლო ჩასაბარებელი ბატკნის

მატყლის რაოდენობა—იმის მიხედვით, თუ გაზაფხულის დოლის რა ნამატი იქნება 1934 წლის ივნისის 1-თვის.

5. განისაზღვროს კოლექტიური მეურნეობებისა, მეცხვარეობის სასაქონლო ფერმებისა, საკოლმეურნეო კომლებისა და ინდივიდუალური მეურნეობების მიერ მატყლის ჩაბარების ვალდებულებათა აღსრულების შემდეგი ზღვრული ვადები: ყველა ჯიშის ცხვრის საგაზაფხულო მატყლისა, აქლემის ბეწვისა და თხის მატყლის და ბეწვისა—20 დღის განმავლობაში დღიდან პარსვის და აკრეფისა, ხოლო არა უგვიანეს 1934 წ. აგვისტოს 1-სა; ცხვრის საშემოდგომო მატყლის და ბატკნის მატყლისა—აგრეთვე 20 დღის განმავლობაში დღიდან პარსვის და აკრეფისა, ხოლო არა უგვიანეს 1934 წ. ნოემბრის 1-სა.

6. ნება დაერთვას ყველა კოლექტიურ მეურნეობას, საკოლმეურნეო კომლს და ინდივიდუალურ მეურნეობას—ვალდებულების ანგარიშში ჩააბაროს, საშემოდგომო მატყლის ნაცვლად, გაზაფხულის მატყლი.

7. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—ამა დადგენილების 1-ლი მუხლით განსაზღვრული საშუალო ნორმების მიხედვით, — დააწესონ მატყლის ჩაბარების სხვადასხვა (დიფერენცირებული) ნორმები ცალკეულ რაიონებზე და ცხვრის ჯიშებზე—ისე კი, რომ რესპუბლიკისათვის მთლიანად დაცულ იქნეს დადგენილი საშუალო ნორმები და რომ სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების გეგმის აღსრულება საგსებით იქნეს უზრუნველყოფილი; დაწესებული ნორმები უნდა გამოქვეყნდეს არა უგვიანეს 1934 წ. თებერვლის 1-სა.

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს კატეგორიულად ეკრძალებათ სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების დაწესებული რაიონობითი ნორმების შეცვლა.

8. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და სასოფლო საბჭოებს—რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების პასუხისმგებლობით—ჩააბარონ თვითეულ კოლექტიურ მეურნეობას, რომელსაც ჰყავს განსაზღვრადობული ფარა, როგორც ფერმად გაფორმებული, ისე არაგაფორმებული, თვითეულ საკოლმეურნეო კომლს და თვითეულ ინდივიდუალურ მეურნეობას, რომელსაც ჰყავს ცხვარი, თხა და აქლემი, მატყლის (გაზაფხულისა და შემოდგომის) ჩაბარების ვალდებულებანი—არა უგვიანეს 1934 წ. მარტის 10-სა, ხოლო ბატკნის მატყლის ჩაბარების ვალდებულებანი—არა უგვიანეს 1934 წ. ივნისის 15-სა.

9. დაევალოს სასოფლო საბჭოებს—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებისა და აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების პასუხისმგებლობით—აწარმოონ როგორც მატყლის ჩაბარების ვალდებულებათა ჩაბარებისა, ისე ყველა საკოლმეურნეო კომლისა და ინდივიდუალური მეურნეობის მიერ ამ ვალდებულებათა აღსრულების მტკიცე აღნუსხვა.

10. იმ კოლექტიურ მეურნეობას, საკოლმეურნეო კომლს და ინდივიდუალურ მეურნეობას, რომელიც არ შეასრულებს კანონით დადგეილ ვადაზე თავის ვალდებულებას სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარებისას, დაედება ფულადი

ჯარიმა ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის საბაზრო ღირებულების რაოდენობით, ჩასაბარებელი მატყლის ჩამორთმევით უდავო წესისამებრ.

11. საქონლის ნამდვილი რაოდენობის დამაღვისაძვიის დაწესებულ იქნეს პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის წესით (რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლების თანახმად) კოლექტიურ მეურნეობათა გამგებების თავმჯდომარეებისა, საკოლმეურნიო მეცხოველეობის სასაქონლო ფერმათა გამგებებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მეურნეებისა.

12. კატეგორიულად აეკრძალოთ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს და აგრეთვე დამზადებელ ორგანიზაციებს კოლექტიური მეურნეობებისა, საკოლმეურნიო კომლებისა და ინდივიდუალური მეურნეობებისათვის მატყლის ჩაბარების ვალდებულებათა დაკისრება ისეთი რაოდენობით, რაც აღემატება ამა დადგენილების შესაბამისად გამოქვეყნებულ ჩაბარების ნორმებს; ამასთანავე, იმ ჩამბარებლებისათვის, რომელნიც შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებას მატყლის ჩაბარებისას, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სრული შესაძლებლობა თავისუფლად და თავისი სურვილისამებრ მოიხმარონ თავისი ზედმეტი პროდუქცია.

გაფრთხილების სახით წინასწარ ეცნობოს ყველა ადგილობრივ ორგანიზაციას და პირს, რომ შემხვედრი გეგმის მიცემაში დამნაშავენი მიიცემიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

13. ამა დადგენილებისამებრ ჩასაბარებელი მატყლის მიღება (დამზადება) დაეკისროს ა/კსფსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს და, ა/კსფსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან ხელშეკრულების დადების წესით, სამომხმარებლო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ილიუშინი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. ბუკრევი.

1934 წ. იანვრის 23.  
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოხტოკას“ 24 №-ში 1934 წ. იანვრის 27-ს.

**დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან  
არსებული აღსრულების შემოღებისათვის  
კომისიისა.**

**25.** „რადიო-ხასმენლის მიმღებთა გამოყენებისათვის სააბონემენტო სახყიდლის შემოღების თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. მარტის 7-ის დადგენილების აღსრულების შესახებ.

მოისმინა-რა სსრკ-ის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) წარომადგენლისა (ამხ. წ ვ ე რ ა ვ ე ა) და ა/კ. რადიო-

კომიტეტის წარმომადგენლის (ამხ. ს ტ უ რ უ ა) ცნობა 1933 წელს რადიოსასმენლის სააბონემენტო სასყიდლის შეკრფის შესახებ, ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს, რომ სააბონემენტო სასყიდლის შეკრფა მიმდინარეობს არადამაკმაყოფილებლად.

იმ მიზეზთა შორის, რამაც ხელი შეუშალა სააბონემენტო სასყიდლის მთლად შეკრფას, ძირითადი მიზეზი შემდეგია: თვითდენა მუშაობაში, რის გამოც 1934 წ. იანვრის 1-თვის შეკრფილია 181.000 მან., ან გეგმის 36 პროცენტი; მხოლოდ უკანასკნელ ხანში, განსაკუთრებით რადიომუწყებლობის ათი წლის თავთან დაკავშირებით, მიღებულია ღონისძიებანი სააბონემენტო სასყიდლის შეკრფის დაჩქარებისათვის (ამ სასყიდლის შეკრფა წერილების დამტარებელთა მეშვეობით); სსრკ-ის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის მიერ არა თავის დროზე მიწოდება დირექტივებისა (იენისის 5-ს) და სარეგისტრაციო ბარათებისა (იენისის 14 ს); სატრანსლაციო წერტების ზედმიწევნითი აღრიცხვის უქონლობა; საზოგადოებრიობის სუსტი მობილიზაცია ამ საკითხების გარშემო აზერბაიჯანსა და სომხეთში.

ხანგრძლივ გაჩუმებული რადიოწერტები და კვანძები შეადგენდა: საქართველოში—3<sup>0</sup>/<sub>10</sub> ს, სომხეთში—3<sup>0</sup>/<sub>10</sub>-ს და აზერბაიჯანში—5<sup>0</sup>/<sub>10</sub> ს (რადიოკვანძი მესტიაში გაჩერებული იყო 8 თვეს, ლანჩხუთში—6 თვეს, გაგრაში—9 თვეს, ზესტაფონში—5 თვეს, პუშკინოში—10 თვეს, ლაჩინში—10 თვეს, სამუხში—8 თვეს, აღდამში—5 თვეს და სხვა მისთ.).

ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. წინადადება მიეცეს სსრკ-ის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კფსრ-ში (ამხ. გაბერ-კორნის პირადი პასუხისმგებლობით)—გამოჰყოს ორი დღის ვადაზე და მიამაგროს კავშირგაბმულობის რესპუბლიკანურ სამმართველოებს—კავშირგაბმულობის აპარატის ხაზით—პასუხისმგებელი მომუშავენი, წარმართოს-რა ეს მომუშავენი სასყიდლის შეკრფის მხრით ჩამორჩენილ რაიონებში კავშირგაბმულობის ადგილობრივი სარაიონო განყოფილებებისათვის დახმარების გასაწევად სააბონემენტო სასყიდლის შეკრფის საქმეში, და დააკისროს ამ გამოყოფილ პირთ პასუხისმგებლობა სააბონემენტო სასყიდლის დავალიანების ლიკვიდაციის ჩატარებისათვის.

2. ამიერკავკასიის რადიოკომიტეტმა უნდა გამოჰყოს, თავისი მხრით, პასუხისმგებელი მომუშავენი კავშირგაბმულობის სამმართველოებისა და სააბონემენტო სასყიდლის შეკრფის საქმისათვის დახმარების გასაწევად.

3. ამიერკავკასიის რადიომუწყებლობის კომიტეტმა უნდა გაშალოს მასური ახსნა-განმარტებითი კამპანია რადიოსასმენლის სასყიდლის შეკრფის თაობაზე გამოტანილი დადგენილების რეალიზაციისათვის.

4. წინადადება მიეცეს სსრკ-ის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კფსრ-ში—მის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად—ლიკვიდირებულჰყოს რადიოსმენის სასყიდლის დავალიანება 1934 წ. თებერვლის 1-თვის.

5. სსრკ-ის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში წინადადება უნდა მისცეს კავშირგაბმულობის რესპუბლიკანურ სამმართველოებს—ზეფუარდონ ხოლომე სრულად სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. მაისის 25-ის თარიღისა და 1027 №-ის დადგენილება, სახელდობრ—ის ნაწილი, რაც ეხება სააბონემენტო სასყიდლის ნარჩენის იძულებითი ღონისძიებით გადახდევინებას.

6. წინადადება მიეცეს სსრკ-ის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში—დაავალოს კავშირგაბმულობის რესპუბლიკანური სამმართველოების უფროსთ—მოაგვარონ კვანძების ნორმალური მუშაობა და უზრუნველყონ სატრანსლაციო კვანძები ყველა საჭირო საექსპლუატაციო მასალით, ტექნიკური გაწყობილობით და მუშა-ძალით; აგრეთვე თავის დროზე შეაკეთონ გაზუმებული დანადგამები. სსრკ-ის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში ამხ. გ ა ბ ე რ-კ ო რ ნ მ ა უნდა უზრუნველყოს ამა მუხლის აღსრულება 1934 წ. იანვრის 25-თვის.

7. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ-ისა, სომხეთის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს—უზრუნველყონ ელექტროენერჯიის დაუტაცებელი და სისტემატური მიწოდება ადგილობრივი სატრანსლაციო კვანძებისათვის, და პასუხისმგებლობა ამისათვის დააკისრონ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეებს.

8. წინადადება მიეცეს სსრკ-ის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში—მოაგვაროს ერთი თვის ვადაზე ა/კსფსრ შედგენილობაში შენაველ რესპუბლიკებში სატრანსლაციო წერტილების ზედმიწევნითი აღრიცხვა, ხოლო ა/კ. რადიოკომიტეტმა უნდა მოაგვაროს საეთერო რადიოდანადგამთა აღრიცხვა.

9. სააბონემენტო სასყიდლის შეკრების თაობაზე ამხ. რ ი კ ო ვ ი ს მიერ გაცემული ბრძანებისა და სატელეგრაფო განკარგულების შეუსრულებლობისათვის, რამაც გამოიწვია სასყიდლის შეკრების ჩაშლა, აგრეთვე მკვეთრ ღონისძიებათა მიუღებლობისათვის—აზერბაიჯანის სსრ კავშირგაბმულობის სამმართველოს უფროსს ამხ. ა ვ ა ქ ი ა ნ ს, სომხეთის სსრ კავშირგაბმულობის სამმართველოს უფროსს ამხ. მ ა ნ უ ჩ ა რ ი ა ნ ს და საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამმართველოს უფროსს ამხ. წ უ ლ უ კ ი ძ ე ს მიენიშნოს ეს ყურადსაღებად.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის  
თავმჯდომარის მოადგილე ა. დოგადოვი.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის  
პასუხისმგებელი მდივანი ი. პეცოვი.

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემოფარებული კომისიისა.

**26.** „ა/კსფრ-ში საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სისტემის საბჭოთა მეურნეობების კაპიტალური მშენებლობის მსვლელობის თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს 1933 წ. სექტემბრის 19-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ა/კსფსრ-ში ამხ. ოთიანის მოხსენება ა/კსფსრ-ში 1933 წ. საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის სისტემის საბჭოთა მეურნეობის კაპიტალური მშენებლობის წინასწარი შედეგების შესახებ, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემოფარებული კომისია ადგენს:

1. საბჭოთა მეურნეობების კაპიტალური მშენებლობის მსვლელობაში მიღწეული გარდატეხა ჩათვალოს არასაკმარისად როგორც რაოდენობით, ისე, განსაკუთრებით, თვისებითი მაჩვენებლების მხრით.

2. აღიარებულ იქნეს, რომ საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ვერ მოახერხა სწრაფი და ზედმიწევნითი ინფორმაციის მოწყობა მშენებლობის მსვლელობის შესახებ და ამიტომ მას არ შეეძლო თავის დროზე გამოესწორებინა მშენებლობის ცალკეულ ობიექტებზე მომხდარი გარღვევანი.

წინადადება მისცეს საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ამხ. ოთიანს—უზრუნველჰყოს თავის დროზე ადგილებიდან ინფორმაციის მიღება მშენებლობის მსვლელობის შესახებ.

3. წინადადება მიეცეს საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ამხ. ოთიანს—უზრუნველჰყოს 1934 წელს მშენებლობა სრული საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო მასალებით, აგრეთვე სატიტულო სთებით—ისეთი ვარაუდით, რომ სამშენებლოდ დასახული ყველა ობიექტი დამთავრებულ იქნეს დანიშნულ ვადაზე, და იხმაროს ღონისძიებანი მშენებლობის უზრუნველსაყოფად როგორც ფონდირებული, ისე, განსაკუთრებით, ადგილობრივი საშენი მასალით.

4. აღსანიშნავია-რა, რომ ცენტრიდან მიღებული ტიპური პროექტები და ხარჯთაღრიცხვები არ შეეგუება ამიერკავკასიის პირობებს და არ შეესაბამება მშენებლობის ადგილობრივ მოთხოვნებს, რის გამოც საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის სისტემის საბჭოთა მეურნეობების ყველა ტრესტს უხდება ამ პროექტების და ხარჯთაღრიცხვების დამოუკიდებლად გადაკეთება, რაც ერთის მხრით იწვევს მშენებლობის გაძვირებას და მეორე მხრით აუარესებს სამუშაოს თვისებას,—საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა, მშენებლობის სრულხარისხოვანი საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო მასალით უზრუნველყოფის მიზნით, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან ა/კსფსრ-ში მოეწყოს პროექტიურა სრული სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე.

5. წინადადება მიეცეს საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულს—იშუამდგომლოს სსრკ-ის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარ ამხ. ი უ რ კ ი ნ თ ა ნ, რათა მან გამოჰყოს საგვემო წესით ფონდირებული საშენი მასალა კვარტალების მიხედვით.

6. ვინაიდან წარსულ სამშენებლო სეზონში საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის გაშლა თვალსაჩინოდ დააბრკოლა შენებაში მყოფი ობიექტების არათავის დროზე დაფინანსებამ,—დაევალოს საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ამხ. ო თ ი ა ნ ს—იშუამდგომლოს სსრკ-ის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარ ამხ. ი უ რ კ ი ნ თ ა ნ, რათა მან თანაბრად და თავის დროზე დააფინანსოს მშენებლობა და თავის დროზე გაიღოს საჭირო სახსარი კვარტალობით 1934 წელს.

7. საბჭოთა მეურნეობების კაპიტალური მშენებლობისათვის გადადებული სახსარის უფრო უკეთესად მოწესრიგებისა და გამოყენების მიზნით—წინადადება მიეცეს ამხ. ო თ ი ა ნ ს—აღძრას საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარის ამხ. ი უ რ კ ი ნ ი ს წინაშე საკითხი, რათა კაპიტალდაბანდებათა განაწილება და ტრესტებისათვის მიწოდება სწარმოებდეს საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) მეშვეობით.


8. აღსანიშნავია—რა მშენებლობის თვალსაჩინო გაძვირება სახარჯთაღრიცხვო ასიგნებთან შედარებით (ერთი-ორად, ერთი-სამად),—დაევალოს საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში—იხმაროს ყველა საჭირო ღონისძიება 1934 წელს მშენებლობის ღირებულების შესამცირებლად დადგენილ ლიმიტებამდე.

9. წინადადება მიეცეს საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულს—გადასინჯოს საბჭოთა მეურნეობებში მომუშავე საინჟინერო-სატექნიკო მომუშავეთა კადრები იმ მზრით, რომ საშენებლო ობიექტები უზრუნველყოფილ იქნეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა მშენებლობის პირობების მცოდნე მომუშავეებით.

აღსრულების შემოწმებელი კომისიის  
თავმჯდომარის მოადგილე ა. დოვადოვი.

აღსრულების შემოწმებელი კომისიის  
პასუხისმგებელი მდივანი ა. პევეცოვი.

1934 წ. იანვრის 10.  
ტფილისი.



საქ. სახკომსაბჭოს სტამბა